


საბარჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №13-14(195-196) 2019 წ. 1-31 ივლისი ფასი 2 ლარი

„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული...“

### სკოლებში „დედა ენა“ ბრუნდება



2019-2020 სასწავლო წლიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში ადაპტირებული ვერსიით დაბრუნდება და არსებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი გახდება. ამასთან დაკავშირებით ღონისძიება სოფელ ვარიანში პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ გამართა.

პრემიერის განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან ყველა პირველკლასელი „დედა ენას“ უფასოდ მიიღებს.

სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია საქართველოს პარლამენტის ინიცირებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა და მას ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლე უფასოდ მიიღებს.

ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა, ხოლო ეროვნული კატეგორია 2014 წელს განესაზღვრა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, სამინისტრომ ქართული საანბანე სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით მოამზადა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შეიქმნა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც, ერთი მხრივ, ეროვნულ და კულტურულ საფუძველს, ხოლო, მეორე მხრივ კი, სწავლების თანამედროვე მეთოდებს დაეფუძნა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ უკანასკნელი გამოცემის ადაპტირება მოხდა ისე, რომ შენარჩუნდა ავტორის ძირითადი მეთოდები, პრინციპები, მასალა და თანამედროვეობას დაუახლოვდა. არქაული ლექსიკა ნაწილობრივ შეიცვალა, თუმცა ძირითადი ლექსიკა, რაც დღესაც გამოიყენება, სახელმძღვანელოში დარჩა.

### „ბარჯი საქართველო!“ შითარება კიდევ რომ არ დაიკაბოს...



14 ივლისს აზერბაიჯანელმა მესახდურეებმა ქართული სიწმინდეები – ხატები უდაბნოს ბერთა სენაკებიდან გამოიტანეს და ქართველ სასულიერო პირებს გადასცეს იმ მიზეზით, რომ ტაძრები მათ ტერიტორიაზე მდებარეობს. აზერბაიჯანელების აღნიშნულმა ქმედებამ გააღიზიანა მოსახლეობა და გამწვავდა დაპირისპირება ქართველ მოსახლეობასა და ზემოსხენებულ მესახდურეებს შორის. ისევ სასულიერო პირების ჩარევამ განმუხტა შექმნილი ვითარება, რაზედაც კომენტარი გააკეთა დავით გარეჯის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ილარიონმა. აღნიშნული მიმართვა სოციალური ქსელის მეშვეობით მთელმა საქართველომ იხილა. მისი თქმით, – ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ან რაიმე საბუთი არ არსებობს და ამის მტკიცება საზოგადოებისთვის თვალეში ნაცრის შეყრაა. არქიმანდრიტ ილარიონის თქმით, აზერბაიჯანელი ჯარისკაცი, რომელიც იქ იარაღით ხელში დგას, ოკუპანტია, რომელმაც საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვოს.

14 ივლისს მოსახლეობას და მესახდურეებს შორის დაპირისპირება მოხდა. უფრო მძაფრი იქნება დაპირისპირება, უფრო გამწვავდება და ვაითუ უფრო ცუდი შედეგებიც დადგეს, თუ აზერბაიჯანის მხარეს მკაცრად არ მოეთხოვა, რომ დატოვოს ჩვენი ტერიტორიები. გარეჯის თემის შესახებ ყველაფერი ცხადია და ხელის შეხოცვა ბოლშევიკებზე არ გამოუვა არავის, თითქოს მათ გადასცეს ეს ტერიტორიები აზერბაიჯანულ მხარეს. არ გამოუვათ, რადგანაც ეს იქნება თვალეში ნაცრის შეყრა საზოგადოებისთვის. ბოლშევიკებს, კომუნისტებს თავისი ცოდვები ეყოფათ...

90-იან წლებში ჰეიდარ ალიევის ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებაზე, რომ საზღვრის შესახებ მოლაპარაკება იქნება 1938 წლის რუკის მიხედვით და კერძო შემთხვევებში ეს კომისია სხვა რუკებითაც ისარგებლებს. ესენი ჩვენ რომ გვესაუბრებიან, გეგონება აზერბაიჯანული მხარე გვესაუბრება და არავინ იცის, იქ რას დაპარაკობენ. ისტორია ყველას პასუხს მოსთხოვს და ყველას სახელი დაერქმევა, ვინც ამ ცუდ საქმეში თავის წვლილს შეიტანს.

მე არ ვიცი, ვის რა დაინტერესება აქვს და ვინ რა დივიდენდებს ელის აზერბაიჯანის მხარისგან. ჩემი სატიკვარი არის მხოლოდ დავით გარეჯი და ჩვენი ტერიტორიები. არ მინდა სხვა საჭირობოროტო საკითხებს შევეხო, რაც ერის წინაშეა, მაგრამ დავით გარეჯის შესახებ საუბარი მევალება მე,“ - განაცხადა არქიმანდრიტმა ილარიონმა.



# მუნიციპალური ბიურო

## საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა მორიბი სხდომა

28 ივნისი, 2019წ



საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომა ამავე საკრებულოს თავმჯდომარე **ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა.

**დღის წესრიგის პირველი საპიუნქტი** „საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა **საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ აბაილაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა:

დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით გამოყოფილი თანხების დამატებით და საბიუჯეტო სახსრების ფონდების გარეშე ბიუჯეტის პროგრამებს შორის ცვლილებით.

აღნიშნული პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეო მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზარდა 900,019 ათასი ლარით, გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზარდა 900,019 ათასი ლარით.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 მაისის №1233 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 349,949 ათასი ლარი.

შესაბამისად საგარეო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

**საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან: ჩვენს მუნიციპალიტეტს სანიაღვრე არხების მოწყობის და აღდგენის ხარჯებში დაემატა 349 949 ლარი; კერძოდ დაფინანსდა**

1) **სოფელ პატარა ჩაილურში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები - რასაც 87500 ლარი მოხმარდება;**

2) **სოფელ დიდ ჩაილურში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რასაც 131242 ლარია გამოყოფილი;**

3) **სოფელ ყანდაურაში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე 131207 ლარი გაიხარჯება.**

**თანდაფინანსება (49994 ლარი) ბიუჯეტში ვათვალისწინებულისა ბიუჯეტის მე-5 ცვლილებით.**

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

სოფლის ამბულატორიების მომსახურებისა და ჯანდაცვის ხელშეწყობისათვის ხარჯებში დაემატა 550 070 ლარი; კერძოდ დაფინანსდა

1) **ქსაგარეოში კახეთის გზატკეცილზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები, რასაც 335221 ლარია გამოყოფილი;**

2) **სოფელ გომბორში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოებზე 214849 ლარია გამოყოფილი;**

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კი სოფლებში თულარში, პატარაქელში, წყაროსთავში, ყანდაურაში და ნინოწმინდაში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელში ამქაჩი ტუმბოების ამოსაცვლელად ახლების შექმნის და მონტაჟის სამუშაოების დასაფინანსებლად სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების მუხლიდან 66114 ლარი უნდა გადავიდეს წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

**დღის წესრიგის მეორე საპიუნქტი** „საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა **საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა სამსახურის უფროსმა პანაბერ მარბაბაძემ**. მოხსენებელმა წარმოდგინდა საკითხის შესახებ გააკეთა განმარტება:

დადგენილების პროექტის თანახმად ცვლილება შედის „საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

9 ივნისი, 2019 წელი



საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს **ამავე მუნიციპალიტეტის მერი ბიორბი ერობოუნაშვილი** უძღვებოდა. თათბირზე მან დეტალურად მიმოიხილა თითოეულ სოფელში არსებული პრობლემური საკითხები, მერის წარმომადგენლებს გააცნო პირად ტელეფონზე მოსახლეობის მიერ შემოსული ინფორმაციები, მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დასმული, მოკლე ვადებში გადასატარებელი პრობლემები და კიდევ ერთხელ მიმართა თხოვნით – არ გამორჩეთ სოფლად არსებული არც ერთი საკითხი, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან აქტიურ ჩარევას და მყისიერ რეაგირებას მოითხოვს, მით უმეტეს ახლა, როცა მუნიციპალიტეტში გაიზარდა დამსვენებელთა რიცხვი. კატეგორიულად მკაცრი იყო მისი საუბარი სოფელ უდაბნოში არსებული ტბის წყლის ფერმერებისგან თვინებურად მოხმარების ფაქტებზე, რაც სოფლის მსხვილფეხა საქონლისთვის საჭირო წყლის მარაგს მნიშვნელოვნად ამცირებს. მერის წარმომადგენელს სოფელ უდაბნოში გიორგი ჟორჯიანი დაევალია უმოკლეს ხანში შეირჩეს წყლის მარეგულირების კანდიდატურა (ყოფილი მარეგულირებელი სწორედ ამ საკითხის მიმართ გამოჩენილი ლოიალობისათვის გათავისუფლდა), რომელიც გულისხმობს გამორჩენას აღნიშნული საკითხის მიმართ და კონტროლს გაუწევს ტბის წყლის ყაირათიან ხარჯვას.

როგორც გიორგი ერობოუნაშვილმა საუბრისას აღნიშნა: – სოფელ უდაბნოში წლებია დაზიანდა გასული საუკუნის 80-იან წლებში მოწყობილი საკანალიზაციო ქსელი, რომელიც უკვე რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარება – საჭირო ხდება თითქმის ახალი სისტემის მშენებლობა, რაც უახლოეს მომავალში განხორციელდება. ამასთან უდაბნო მნიშვნელოვანი სტრატეგიული წერტილია, რომელზედაც უამრავი ტურისტი ხვდება, ამდენად უდაბნოში ბევრი რამ სასიკეთო გვაქვს გასაკეთებელი. გარდა უდაბნოსი, ყველა სოფელში მიმდინარეობს სამუშაოები. სამომავლოდ მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. თუნდაც სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის მაგისტრალის ფართობის შეზღუდვით მშენებლობა ავიდოთ, სადაც 2 მილიონ ლარზე მეტი სამუშაოების ჩატარება გამოიწვევს. მაგრამ ისიცაა სათქმელი, რომ მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ვერ გავწვდებით მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას. მართალია, წყლის დებეტმა იკლო ბუნებაში, მაგრამ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მოსახლეობის მხრიდან სასმელი წყლის მოხმარების საჭიროებამ უფრო მეტად გაზარდა მოთხოვნა ამ პრობლემაზე. ყველასათვის ცნობილია, რომ სოფელ თოხლიაურში ბუნებრივი წყლები ბევრია, მაგრამ მოსახლეობას მოხმარებისათვის უფრო მეტი სჭირდება. წყლის დებეტმა კი, როგორც ცნობილია, საქართველოში მნიშვნელოვნად დაიკლო. ამიტომ, ჩვენი ვალია მოსახლეობას მივაწოდოთ (გრაფიკით მაინც) წყალი. მაგრამ, ამავე დროს მათ უნდა აქონდეთ ვალდებულება და პასუხისმდებლობა – ყაირათიანად მოიხმარონ.

თათბირის მსვლელობისას საუბარი შეეხო სოფლებში არსებული რეზერვუარების, სასმელი წყლის მაგისტრალის მდგომარეობას. მერის წარმომადგენლის სოფელ ბაღიაურში კახაბერ ჩალათაშვილის განმარტებით: – სოფელ ზემო ყანდაურაში არსებული გ.წ. „დიდი სერიდან“ ჩამავალ ხეებში, რომელსაც იქაურები „უძიროს“ ეძახიან, მოიპოვება წყალი, რომლის დებეტორული მონაცემები ზემო ყანდაურის, ყანდაურის, ბაღიაურის, შიბლიანის, შხისგულის მოსახლეობას ეყოფა. ამისათვის საჭიროა იმ პროექტის განხორციელება, რომელიც რამდენიმე სოფელს ამ პრობლემას მოუგვარებს. სოფელ ბაღიაურის მოსახლეობა ზემო ყანდაურიდან მომავალი სასმელი წყლით მარაგდება, საიდანაც ერთ ნაწილს ყანდაურის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უთმობს. მაგრამ, იმის გამო, რომ ყანდაურაში არ არსებობს რეზერვუარი, სასმელი წყალი უკონტროლოდ მიედინება მოსახლეობაში, რის გამოც ბაღიაურის მოსახლეობის ნაწილი სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის.

ამიტომ საჭირო ხდება ყანდაურაში 10 ან 20 ტონიანი წყლის რეზერვუარის დადგმა, სადაც შეგროვდება წყალი და გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობას.

აღნიშნული საკითხის შესახებ წინასწარ და ყანდაურაში წყლის შეგროვების ავზის შესყიდვის შესახებ კონკრეტული დაგეგმვა მიეცა საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების გამგეს ბექა ფეიქრიშვილს.





ბაზრქმელება

# საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

28 ივნისი, 2019წ

წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში, რომლის შესაბამისად სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში განსაზღვრული საშტატო ერთეულების რიცხოვნობა იზრდება, კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილების პროექტის შესაბამისად II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 3 საშტატო ერთეული ემატება საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ინფრასტრუქტურის განყოფილებას, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 3 საშტატო ერთეული ემატება იურიდიული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ზედამხედველობის განყოფილებას, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ემატება იურიდიულ სამსახურს, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ემატება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სამსახურს, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ემატება განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქითხა სამსახურს, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ემატება ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების თანხა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 000000 ლარით, ( ხოლო 2017 წელთან შედარებით 12 000000 ლარით) ამასთან, მიმდინარეობს სოფლის პროგრამებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება, ასევე, თანხა გამოყოფილია სკოლების, ამბულატორიების, სასწრაფო დახმარების 2 შენობის მშენებლობისთვის, აღნიშნულის შესაბამისად, მოიმატა შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობამ (ექსპლუატაციაში მიღება, ინსპექტირება და სხვ), რის გამოც შეიქმნა ზედამხედველობის და ინფრასტრუქტურის საქითხებში შტატების დამატების საჭიროება.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ სამსახურში შტატის დამატება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნულ სამსახურში არის სოციალური აგენტის ერთი შტატი, ხოლო სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფების სიმრავლიდან გამომდინარე (რისთვისაც საჭიროა ამა თუ იმ მოქალაქის სოციალური მდგომარეობის საცხოვრებელ ადგილზე შემოწმება) არ არის საკმარისი.

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ემატება იურიდიულ სამსახურს, ვინაიდან იურიდიულ სამსახურში დასაქმებულ სპეციალისტებს ასევე დაკისრებული აქვთ მერიაში სხვადასხვა კომისიების (ადიარების, საკონკურსო, სათათბირო საბჭოს, უსახლკაროების, შშმ პირების, ცხოვრების ფაქტის დადგენის და ა.შ.) წევრის ფუნქციები, რაც საქმის სიმრავლიდან გამომდინარე არ არის საკმარისი.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქითხა სამსახურში კულტურის საკითხებში, ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურულ - საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების დაგეგმვა - ორგანიზების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა დაემატოს ერთი შტატი.

ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას, საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, კულტურული ღონისძიებების, სოციალური პროგრამების და სხვა ინფორმაციის მასობრივი გაშუქების მიზნით, პირის საქითხებში ემატება 1 საშტატო ერთეული.

**სხდომის დღის წესრიგის საპიტიხე**  
„საგარეო მუნიციპალიტეტში C ჰეპატიტიზე, აივ/შიდსზე და ტუბერკულოზზე ადრეული გამოვლენის (2019წ) მუნიციპალიტეტის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა აიპ „საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის მართვის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლალი ზაბახიძემ“.



სენებლის განმარტებით:

„საგარეო მუნიციპალიტეტში C ჰეპატიტიზე, აივ/შიდსზე და ტუბერკულოზზე ადრეული გამოვლენის მუნიციპალიტეტის პროგრამა (2019 წ)“ საკრებულოს განკარგულების პროექტით წარმოდგენილია შემდეგი გარემოებებით:

აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში სსიპ ჯ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ხორციელდება ორი პილოტური პროექტი - „ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და პარტნიორობის განვითარება დაავადებათა ადრეული გამოვლენისთვის სამედიცინო - ზემო სფეროს რეგიონში“ და „ნეულოვანი ტუბერკულოზის პროექტი აჭარის რეგიონში“.

**პროექტების მიზანია** ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგისა და დროული გამოვლენის შესაძლებლობების განვითარება პირველად ჯანდაცვის რეგულში, ასევე, ამ მიზნით ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო/კერძო პარტნიორობის მობილიზება და ამ დაავადებათა მართვის პორიზონტალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროექტის ყველაზე ეფექტურ გზად მიჩნეულია ადრეული გამოვლენა და მკურნალობა. ქვეყნის ექვსი რეგიონში მენდაცია უზრუნველყოფს მაღალი რისკის ჯგუფების პირთა სულ ცოტა 90%-ის გამოკვლევა ტუბერკულოზზე, აივ/ინფექცია შიდსსა და C ჰეპატიტზე. სკრინინგის შემდეგ მოსახლეობისათვის საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომია, როგორც დამატებითი გამოკვლევები, ასევე სამივე დაავადების მკურნალობა. განკარგულების მიღების პროექტის მიზანია: განვიღო პერიოდში ამ ორ რეგიონში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით აუცილებლობას წარმოადგენს აღნიშნული მოდელის დანერგვა საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

პროექტის განხორციელების მიზნით, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, უმწველ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამიდან გადატანილია 20000 (ოცი ათასი) ლარი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდიის მუხლში.

**დღის წესრიგის IV საპიტიხე** „საგარეო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ საგარეოში მდებარე შენობა-ნაგებობის შპს „საგარეო აგრარული ბაზრისათვის პირდაპირი წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლალი ზაბახიძემ.

აღნიშნული საკითხის შესახებ აზრი

გამოთქვეს საკრებულოს დეპუტატებმა. დეპუტატ ნიკო ნააცვლიშვილის წინადადებით: - კარგი იქნება, თუ ბაზარი ვინმე კონკრეტულ პიროვნებას მიეცემა. კარგად მოგეხსენებათ, რომ აგრარული ბაზრის მოვაჭრენი რამდენიმე თვეა გადავიდნენ, დაიკავეს ადგილები და ეწვეიან ვაჭრობას. მომხმარებელიც მიეჩვია ახალი ბაზრის ადგილმდებარეობას, ადგილი კეთილმოწყობილია. მეპატრონე იზრუნებს მის ფუნქციონირებაზე, მუნიციპალიტეტს კი საზრუნავი მოაკლდება. მომხსენებლის ლალი ზაბახიძის განმარტებით კი აღნიშნული ტერიტორია ბოლომდე სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული, რაც სამომავლოდ გასათვალისწინებელია. აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულომ თანხმობა მისცა საგარეოს მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო, უზუფრუქტის ფორმით შპს-ს ფუნქციონირების ვადით გადასცეს შპს „საგარეოს აგრარულ ბაზარს“. ქ. საგარეოში მდებარე 670 მ2 არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

დღის წესრიგში „სხვადასხვა“ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე იმედიან მჭედარძე დააყენა საკითხი - საინტერესოა და შესასწავლი საკრებულოს დეპუტატებისგან საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობასთან შესულ წინადადებებზე თუ გაკეთდა რეაგირება, რა შედეგია. თუ რა გაკეთდა, რა შესრულდა, ამის შესახებ საკრებულოს მომავალ სხდომაზე განვიხილოთ. როგორც მან აღნიშნა: - საინტერესოა და პასუხი გასაცემია კითხვაზეც - ჩვენი მუნიციპალიტეტის არც ერთი სოფლის სახმელი წყლის რეზერვუარი არ გარეცხილა. ასევე (28 ივნისი) არ განხორციელებულა სოფელ გომბორის სახმელი წყლის მაგისტრალის პროექტის შესყიდვა. ამასთან, კიდევ ერთხელ დავსძენ, რომ სხდომაზე განხილულ დღის წესრიგის მეორე საკითხის მიხედვით წარმოდგენილ პროექტს, რაც ითვალისწინებს საგარეოს მუნიციპალიტეტის სოფელამდელი აღზრდის დაწესებულებების არაფინანსური აქტივებისთანხის მერიის სოციალური სამსახურის თანამშრომელთა ხელფასების ფონდში გადმოტანას, მე თანახმა არ ვარ. როგორც ირეკვა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან დაპირება აიპ „საგარეოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ თანამშრომლებისათვის ხელფასების გაზრდის შესახებ, კვლავ დაპირებად რჩება. აღნიშნულ დაწესებულებაში 350 თანამშრომელია, ისინი ხელფასის გაზრდას ელოდებიან.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს დეპუტატებმა. დეპუტატ ელდარ მეფარიძის შეკითხვას - ე.ი. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომლებს - გაზრდილი ხელფასები ვეღარ მიეცემა, რასაც ისინი 2019 წლის ახალი სასწავლო წლიდან ელოდებიან, პასუხი მომხსენებელმა ქ.ნა. თინათინ ძაბილაშვილმა გასცა: - მომავალი, 2020

წლიდან საბავშვო ბაღის თანამშრომლებს მოემატებათ ხელფასები. რაც შეეხება ერთ ბავშვზე კვების თანხას, მან მოიმატა და დღეს 3.20 ლარს შეადგენს.

დეპუტატმა - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელენე სამთუაშვილმა მწვავედ დააყენა საკითხი: - ნინოწმინდის, წყაროსთავის და არა მარტო ამ სოფლების მოსახლეობის მიერ სარწყავ და წყალსაწვრეტ არსებზე დაერთებულია ზოგიერთი ოჯახის პირადი სარგებლობის საკანალიზაციო მილები, რაც არაეთიკურია და მიუღებელია. მათი არაერთი გაფრთხილების, მითითების მიუხედავად, მდგომარეობა არ იცვლება. საჭიროა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან ქმედითი ღონისძიებების გატარება.

სოფელ ხაშმის დეპუტატმა ნიკო ნახუცრიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ იგივე მდგომარეობაა სოფელ ხაშში. სოფლის ცალკეულ უბნებსა და ქუჩებში მოხმარებული წყალი პირდაპირ გზებზე მიედინება.

დეპუტატ თამარ სუხიაშვილის განცხადებით, იგივე მდგომარეობაა სოფელ კაკაბეთშიც, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა ეხოებში აკეთებს საკანალიზაციო ტუბებს და ამით ცდილობს დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რადგან არადა აწესრეგებს ამ საკითხებს.

ოთარ ჩლათაშვილის აზრით, ეს საკითხი უახლოეს მომავალში ყველა სოფელში უნდა მოწესრიგდეს, მაგრამ მანამდე მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა უნდა გააქტიუროს თავისი მუშაობა ამ მიმართებით, შეამოწმოს და როცა მოსახლეობის ასეთი კატეგორია დაჯარმდება, ყველა იძულებული გახდება იზრუნოს ამ საკითხის მოწესრიგებაზე.

საკრებულოს სხდომაზე განხილულ საკითხებზე დეპუტატებმა გარკვეული მსჯელობის შემდეგ ყველა საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

## 12 ივნისი, 2019 წელი

**საბარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგარეო მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ოთარ ჩლათაშვილი** უძღვებოდა.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „საგარეოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა.

მან ისაუბრა აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების მიღების აუცილებლობაზე და მის მიზეზებზე, ასევე, ფინანსურად დაასახულო პროექტი და ვრცელდა ისაუბრა ცვლილების მიღების შემთხვევაში რა მასშტაბის და რა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მოხდება საგარეოს მუნიციპალიტეტში. ფიქტობთ, აღნიშნული საკითხის გაცნობა ჩვენი გახუთის მეთხველისთვის არ იქნება ინტერესობა.

**პროექტის** მიღებასთან დაკავშირებით საგარეოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 360,358 ათასი ლარით, გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 360,358 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ივნისის №1282 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებაში და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილია 153,415 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 ივნისის №1478 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა 25049 ლარით.



სოფლის მეურნეობა

ცხელი სეზონი

სარწყავი წყლის მიწოდება პრობლემა არაა...



წლის დასაწყისიდან დღემდე უნაღვეო, გვაღვიანი ამინდები დაიჭირა. მსოფლიო გლობალური დათბობის ბრალია ალბათ, რომ ტრადიციული კოკისპირული წვიმა არ ღირსება იერსაირეთს. მართალია მაისის შემდგომ პერიოდში ერთი-ორჯერ რაღაცნაირად „გადაუარა“ მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, მაგრამ როგორც იტყვიან, ეს „ზღვაში წვეთია“, ამიტომ გვაღვიისაგან შეჭურბული ჩვენი გლეხკაცობისა და ფერმერების იმედად „საქართველოს მელიორაციის ქვემო სამეორის სერვისცენტრი“ რჩება, ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა ბედი ეწვიდა მათ ნაშრომ-ნაამბავარს. ამ სამსახურის მუშაკების სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველთვის ღირსეულად ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ერთგულად უდგანან მხარში ჩვენს მინდვრის მშრომელებს. სამსახურისა და ხალხის ერთგულება კარგია, მაგრამ ამისთვის საჭიროა კიდევ ერთი კომპონენტი – საკმაო რაოდენობის სარწყავი წყალი, რის გარეშეც აზრს კარგავს ამ სამსახურის მუშაკთა საქმიანობა. სწორედ აღნიშნული საკითხის გარკვევა ვცადეთ ამ დღეებში სამსახურის მთავარ ინჟინერთან დიმიტრი მხამელიძისთან, რომელთანაც საუბარში, რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის სხვა საკითხებსაც შევხვით.

– წლებიდან გვაღვიანი პირობების გამო, რწყვის სეზონის დაწყება ჩვეულებრივთან შედარებით ადრე, 17 მაისიდან მოგვიხდა, – გვითხრა მან საუბრის დასაწყისში. – თავიდან გვექვევებოდა სარწყავი წყლის მარაგის საკითხიც, მაგრამ შემდგომში მოსული წვიმების შედეგად სიონის წყალსაცავში წყლის დონემ აიწია და სასურველ დონემდე შეივსო. ისე, რომ სარწყავი წყლის უმარისობას ნამდვილად არ განვიცდით. ეგ კი არა, წყლს შარშანდელზე გაცილებით მეტ წყალს ვიღებთ და როგორც იტყვიან, ორივე მაგისტრალური არხი მთელი დატვირთვით მუშაობს.

– კარგია, რომ მოწოდებული წყლის რაოდენობამ იმატა, მაგრამ მოიმატა სარწყავმა ფართობებმაც... კერძოდ, რა რაოდენობის წყალი მიეწოდება სადღესოდ ამ არხებით? – მარცხენა მაგისტრალური არხის დატვირთვა სადღესოდ შეადგენს 8.5-ს, მარჯვენასი – 7.3 კუბურ მეტრს.

– ამ არხების გარდა, მგონი კიდევ გაქვთ საირიგაციო სისტემები, თუ მუშაობს ისინი სადღესოდ? – კი, გვაქვს ე.წ. „ბებერა არხი“, რომელიც ემსახურება ბაღიანი-მზისგულს, კაკაბეთის მინდვრების ნაწილს და ე.წ. ხაშში-პატარძელის ლოკალური ქსელი, რომლითაც ირწყვება ამ სოფლების 70 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

– სადღესოდ რამდენ წყალმოსარგებლეს მოემსახურა სერვისცენტრი და რამდენი ჰექტარი მიწა მოირწყა თქვენს მიერ? – რწყვის სეზონის დასაწყისისათვის ჩვენ რწყვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული გექონდა 124 აბონენტთან 2100 ჰექტრის მორწყვაზე, მაგრამ რადგან ვენახების რწყვა მასიურად დაიწყო, ეს ციფრები თანდათანობით გაიზარდა და ახლაც მატულობს. 8 ივლისის მდგომარეობით ჩვენ მომსახურება გაწეული გექონდა 1656 აბონენტისთვის, რომელთაც მთლიანობაში მორწყული ჰქონდათ 6496 მიწის ნაკვეთი, აქედან, მარჯვენა მაგისტრალური არხის 5375 და მარცხენა არხით – 1041 ჰა. ამავედროულად ხაშში მორწყული იყო 58 ჰა, პატარძელში – 25, „ბებერა“ არხზე – 16 ჰა.

– ადრეულ, საბჭოთა პერიოდში, იმ სოფლებში, სადაც მაგისტრალური არხების მეშვეობით სარწყავი წყალი ვერ მიეწოდებოდათ, დამონტაჟებული იყო ე.წ. სატუმბო სადგურები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით, დროთა ვითარებაში ისინი მწყობრიდან გამოვიდა. ხომ არ გიცდიათ წელს მათი ამოქმედება და ჩვენი სოფლების მოსახლეობის სამსახურში ჩაყენება? – ყველასი არა, მაგრამ შეკეთდა სოფელ ვერხვიანის ბოლოზე მდებარე სატუმბო სადგური, რომელიც, ასე თუ ისე, შედარებით უკეთ იყო შემონახული. ახლა იქ მიმდინარეობს ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა საქანის ასამოქმედებლად და სულ მალე ვერხვიანისა და კაკაბეთის „კუპატაძეანთ უბნის“ მოსახლეობას გაუსარწყავებთ 90 ჰექტარზე მეტი სავარგული.

– ძველი დრო გავიხსენოთ და და ადრე მინდვრებში ხშირად ვშეხვდებოდით ე.წ. „ეს-ემპებს“, ახლა თუ აქვს სერვისცენტრს ამის შესაძლებლობა? – სერვისცენტრს მსგავსი სადგურები არ აქვს, მაგრამ ჩვენს კომპანიას გააჩნია გაქირავების სერვისი, რომელსაც აქვს 4 სატუმბო სადგური. მათგან ორი სატუმბო სადგური მუშაობს სოფელ კახლარის ბოლოს. დარჩა კიდევ ორი, რომლის დაქირავება მსურველებს შეუძლიათ აღნიშნულ სამსახურში.

– იმედია სარწყავ წყალზე გადასახადის მოცულობა არ შეცვლილა... – კი, იგი ისევ ძველებურად ყოველ 1 ჰექტარზე 75 ლარს შეადგენს და არც ჯერადობაშია ცვლილებები.

– ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენ დღეში ხდება წყალმოსარგებლე პირის წყლით უზრუნველყოფა? – მორწყვა და მასთან დაკავშირებული ყველანაირი პროცედურა 10 დღის ვადაში უნდა დასრულდეს. ისე, როგორც მოგახსენებთ, ხელშეკრულებას წლის ბოლომდე აქვს ვადა და მის პატრონს როცა სურს მასში შეუძლია მორწყვის ხელშეკრულებით გაფორმებული მიწის ნაკვეთი.

– წლებიდან რწყვის პიკის პერიოდში თუ გვოფნით კადრები ამ პროცესის დასარეგულირებლად? – თითოეულ მაგისტრალურ არხზე ჩვენ შექმნილი გვაქვს 3-3 უბანი, აქედან მარცხენა მაგისტრალური არხის უბნებზე გვყავს ორ-ორი სარწყავი წყლის მარეგულირებელი, მარჯვენა მაგისტრალურ არხზე კი სამ-სამი, რომლებიც უბნების და არხების მესვეურებთან ერთად არეგულირებენ მოსახლეობისათვის სარწყავი წყლის დროულად მიწოდების საქმეს.

– ე.წ. უკანონო, ხელშეკრულების გარეშე მრწყველთა წინააღმდეგ თუ გაქვთ რაიმე სანქციები? – ჩვენს სამსახურს არა, მაგრამ კომპანიაში შექმნილია ამ საკითხებზე მომუშავე კომერციული სამსახური, რომელიც ახდენს დამრღვევთა გამოვლენას და იწვევს სათანადო ჯარიმები, რაც 250 ლარს შეადგენს. ამას ემატება მიყენებული ზარალის თანხა, თითოეულ ჰექტარზე 75 ლარი და მაგალითად, თუ ასეთ პირს ხელშეკრულების გარეშე თვითნებურად აქვს დაწყებული რწყვა და მოსარწყავი ფართობი 10 ჰექტარია, მაშინ მას მთლიანობაში მოუწევს 1000 ლარის გადახდა. დამატებით, თუ მას სურვილი ექნება გააგრძელოს მიწის მორწყვა, მან ამ თანხის გადახდის გარდა სერვისცენტრში უნდა გააფორმოს ხელშეკრულება მორწყვის შესახებ. მაგრამ იმედია, ასეთ რისკზე ჩვენი მოსახლეობა არ წავა და „საშაროდ“ არ გაიხდის საქმეს.

საუბრა ბიძი ლაპახიშვილი

ალოობა-2019

აკათათხე, რომელიც მიწოდების პრობლემას არ ანეხივრებს

ამ დღეებში მანავის ციხის ქონებებიდან, ან სხვა შემადგენელი ადგილიდან იერი-სიბრეთის ზეგანს რომ გადმოხედოთ, თვალწინ წარმოვიდგებთ მკათათვისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი პეიზაჟი – ვენახებისა და სხვა კულტურების მწვანე მასივებში შეჭრილი ოქროსფრად დაფერილი ოთხკუთხა ფართობები. ესენი ჩვენი მუნიციპალიტეტის მინდვრის მშრომელთა საშემოდგომო თავთავიანების ყანებია, დიდიდღანვე მომკვლის მოლოდინში რომ გაფურსულან. თვალრუბინი კაცი ამ ფართობებში შეჭრილ წითელ-ყვითელ და მწვანე შეფერილობის „ხოჭოებს“ თავთავიანების ადგებაზე მომუშავე კომბაინებსაც შენიშნავს, გარეგახელ მხენულ-მთესველთა ნაშრომის შედეგით რომ ივსებენ „ცარიელ მუცლებს“ – მარცვლეულის ბუნკერებს. ბუნკერების გაყვებაზე ვსაუბრობთ, მაგრამ წელს ძალზე გვიან უხდებოდა კომბაინერებს მათი შეესება. მიზეზი? – გვაღვიანი წელიწადი და ამით გამოწვეული მარცვლეულის დაბალი მოსავლიანობაა. ისეც ხდება, მცირემიწიანი გლეხები და ფერმერები დათესილზე ცოტა მეტი ოდენობის მარცვალს თუ იღებენ ნაკეთებიდან.

მანაველ ათ-ს მაშინ შევხვდით და წლებიდანელი მოსავლის შესახებ გავესაუბრეთ, როცა „კლასის“ ტიპის კომბაინმა მისი კუთვნილი ხორბლის ყანის ადგება მოამთავრა და გამოლქვილი ხორბალი თვითმცვლელი ავტომანქანით დასაბინავებლად მიჰქონდა. ვიფიქრე, ალბათ ხორბალი სხვა მანქანებითაც უკვე გააგზავნა და ვკითხე – ეს მერამდღე მაქანანაა მეოქი?

– ირონიულად ჩაეცინა და მიპასუხა: – ესაა, რაცაა – 5.5 ჰექტარი ყანიდან მხოლოდ ეს ერთი მანქანა მოსავალი ავიღე, ერთი საეხე და მეორე ბუნკერს ცოტა აკლდა, გვაღვიების პირობებში ამდენსაც არ მოველოდი. 5000 ლარზე მეტი მაქვს დახარჯული და არ ვიცი, რითი ავანახლავრებ ალბებულ ვალებს.

– ალბათ აგროტექნიკურ ვადებში და წესების დაცვით ვერ შეასრულე სამუშაოები, თორემ გვაღვიანი პირობებშიც შესაძლებელია ამაზე მეტი მოსავლის მიღება – მორიგ კითხვას ვუსვამ რესპოდენტს.

– თესვისთვის ნიადაგის მოსამზადებელი სამუშაოები – ხენა, კულტივაცია, თვითონ თესვაც აგროვადებში მაქვს ჩატარებული, ამ საქმეს კარგა ხანია მივდევ და არ მესწავლება, როდის რა უნდა გააკეთო, მაგრამ წლებიდანელითანა გვაღვიები კარგა ხანია არ მახსოვს იერისპირეთში, მთელი ზამთარი და გაზაფხულიც, როცა თავთავიანების ვეგეტაციის დროა, უნაღვეოდ წავიდა და რა ყანა აღმოცენდებოდა?

– მორწყვა და სასუქების შეტანა არ გიცდია?

– სასუქების შეტანა როგორ არ მინდოდა, მაგრამ ამას ნაღვეიანი ამინდები სჭირდებოდა და თითქოს ჩემს ჯინაზე, ამას ვერ ვეღირსე. ამ ზამთარს ნათესებში შესატანი სასუქი ახლაც დასაწობებული მაქვს და მისი ვალიც „კისერზე წამომდევ“. ამას არა უშავს, წელს თუ არა, გაისად მაინც გამოვიყენებ, მაგრამ სხვა დანახარჯებს რა ვუყო? ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანების ნაკვეთის მოვლა-პატრონობა დათესვიდან მოსავლის ადგობით დამთავრებული – 1200 ლარი ჯდება. ამხელა ზარალს რა ვასწავლება?! მაგრამ, რას ვიზამ, როგორც ვიცი, ჩემს მდგომარეობაში ბევრი სხვა ადამიანებიც არიან, მანავშიც და ახლომხლო სხვა სოფლებშიც, მაგრამ რას ვიზამთ?! ახლა ჩვენი იმედი ვენახებზეა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი ჩვენი ვიპოლიტიკოსები ისეთ საქმეებს და განცხადებებს ატრიალებენ, რომ შეიძლება ყურძნის რეალიზაციაც ჩვენთვის მიუღებულ ფასებში მოგვიხდეს, რადგან ისინი ყოველნაირად ცდილობენ ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულონ რუსეთთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ჩვენი ყურძნის ერთ-ერთი უმსხვილესი რეალიზატორია. აბა, ერთი მითხარით, ეს რა ადამიანი და ქრისტიანია, ვინც მიცვალებულის საფლავის წაბილწვაზე საქვეყნოდ ასეთ განცხადებებს გააკეთებს, როგორი მტრის მიცვალებულის საფლავიც არ უნდა იყოს ის. ამიტომ გასაკვირი სულაც არაა ის სანქციები, რასაც რუსეთი ჩვენს ქვეყანას დაუწესებს და სულ ახლახანს, ჩემი ყურით მოვისმინე ტელევიზიით ჩვენთვის პრეზიდენტის განცხადება, რომ საქართველოში არც აქედან გავატარებთ მანქანებს და არც იქიდან შემოვუშვებთ. მე მუდამ ოპტიმისტი ვარ და მჯერა, ეს მდგომარეობა ამ შემოდგომამდე რამენაირად მოგვარდება და ჩვენს მეზობელთან ურთიერთობა დალაგდება, თორემ უამისოდ ხალხსაც გაგვიჭირდება და ქვეყანასაც. დემოტმა ნუ ქნას, იქნებ ყურძენი გადასაყრელიც გავვიხდეს.

– დემოტმა ქნას, კალთაბარაქიანი რთვლითა და დამშვიდებული „პოლიტიკური ამინდით“ დაგემთავრებინოთ ეს წელი.

ბიძი ლაპახიშვილი

ბარეჯელი უპრემიერი „ჩისკუბლიკა ურუქი“ – საბარეჯოში

ეს ფერმა სრულიად განსხვავებული და არაორდინალურია ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო ფერმებისგან და ალბათ არც თუ ისე ბევრი ანალოგი ვეულებს საქართველოში. ფერმაში, რომელსაც მთლიანობაში 10 ჰექტრამდე ფართობი უკავია, ოთხ ჰექტარზე გარეგახეთისთვის დამახასიათებელი ვაზის ჯიშებით გაშენებული ვენახებია, ორ ჰექტარზე მოწყობილია თევზის სატბორე მეურნეობა, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მინი ფერმები, ცალკე ადგილი აქვთ დათმობილი ფუტკრის ოჯახებს. ბევრდღის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სადგომია. აქვეა სტუმრების მისაღები კოტეჯი თავისი სეგელი წერტილებით და სხვა.

ჩანს ამ ფერმის მოსაწყობად ფანტაზია და ნიჭი არ დაუშურებია მის დამაარსებელს, საგარეჯოში კარგად ცნობილ პიროვნებას, ფერმერსა და ლექსების რამდენიმე წიგნის ავტორს როსტომ როსტიაშვილს. აქ შეგიძლიათ ითევზოთ ტბაში ან ინადიროთ, საკუთარი ხელით მოკრიფოთ ეკოლოგიურად სუფთა ხილი, ყურძენი, ბოსტნეული, ტყვით ისეირნოთ და იქეიფოთ ტბაზე, დააგემოვნოთ ორიგინალური წესით ჩაცვებული კახური ღვინო...

– ძალადა ვცადე და მოვიწადინე, რომ ჩემი ფერმის პროფილი თანამედროვე ქართული თუ უცხოელი ვიზიტორების გემოვნებისათვის მიმესადაგებინა, – გვიყვება ვაზის რედაქციაში სტუმრად მყოფი როსტომი. – აქ კახური ღვინის გარდა შეგიძლიათ მიიროვოთ ნატურალური რძე და მისი პროდუქტები, გაიგოთ კალითა და მინდვრის სხვა მწვერებით გაზრდილი მაღალფეხება ქათმის ტაბაკის გემო, გასინჯოთ ბოცვრის დიეტური ხორცი, აწვენოთ ბავშვებს: წალამზე მწვადის მწვეის ტექნოლოგია, როგორც ცხვეთა თონეში დედას პურები, როგორც იწვევება ყურძენი და როგორ იხდება ჭაჭის არაყი, რომელია უფრო ლამაზი მინდვრის ყვავილი, როგორ აგროვებენ ფუტკრები თავლს, როგორია სინამდვილეში ქართული ნაგავი, რატომ არ იძირებიან ისეები და ბატები წყალში, შეგიძლიათ გაიგოთ რითი

დასასრული მ-7 გვერდზე



დასასრული

# საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრუქტურა

28 ივნისი, 2019წ



გაკეთებულია 40451,35 ლარზე, 4 ივნისის დადებულია ხელშეკრულება №61/2 სახელმწიფოებრივი ღირებულებით 129633,17 ლარი).

– ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით: საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №37 დადგენილებით დამტკიცებულ საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის ათი ერთეული გაზრდასთან დაკავშირებით მერიის მ/წლის შრომის ანაზღაურების ფონდის გაზრდა საჭიროა 40000 ლარით. თანხის გადატანა მოხდება სკოლა-ამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული აუთსისებელი თანხიდან.

სკოლა-ამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული აუთსისებელი თანხიდან 40000 ლარის გადატანა ხდება სარეზერვო ფონდის შესასვლად.

**ღირს წესრიგის II საპროექტი** „საგარეო მუნიციპალიტეტში 2019-2020 წლებში განსახორციელებელი რეგიონული პროექტების მოწოდების შესახებ“ მოხსენება გააკეთა **საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების გამგებ ბიძია შამიძის მხარეზე**. მან საკრებულოს დეპუტატებს ღრმად და შინაარსიანად გააცნო 2019-2020 წლებში საგარეო მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები, ისაუბრა პროექტის მიღების მიზეზებსა და მიზნებზე, როგორც მან აღნიშნა:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცე-

დურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების ფონდიდან დაფინანსების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიის წინადადება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის საჭირო ხარჯების (მათ შორის, საპროექტო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები) დაფინანსების მიზნით თანხის მოთხოვნასა და საპროექტო წინადადებას ან უკვე არსებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით თანხის მოთხოვნას.

ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების მოიცავს მუნიციპალიტეტებში გზების, მიწისქვეშა კომუნიკაციების, ტროტუარების მოწოდება - რეაბილიტაციას; წყალგაყვანილობას, წყალარინებას; ხიდების რეაბილიტაციას; გარე განათების მოწოდება - რეაბილიტაციას; სასამართლო წესის ჰაბურდის და სისტემების მოწოდებას; საკანალიზაციო სისტემების და მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვას; საცხოვრებელი და საჯარო შენობების შეკეთებას/ რეაბილიტაციას და სხვა ინფრასტრუქტურულ, აგრეთვე მუნიციპალიტეტისა და რეგიონული განვითარებისთვის საჭირო სხვა პროექტებს.

ხეიმოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, მომხსენებელმა დეპუტატებს მოწოდების მიზნით წარმოუდგინათ საგარეო მუნიციპალიტეტში 2019-2020 წლებში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები:

**ქ. საბარეჯოში:**

**გიორგი ბრწყინვალის ქუჩის** მოასფალტება – პროექტის სრული ღირებულებაა 432 388 ლარი, მათ შორის თანადაფინანსებაა 22620 ლარი;

**გურამიშვილის ქუჩის** მოასფალტება – 247921 ლარი – 12397 ლარი;

**ვაჟა ფშაველას ქუჩის** მოასფალტება – 92093 ლარი – 4605 ლარი;

**სათაგის ქუჩის** მოასფალტება – 232025 ლარი – 11035 ლარი;

**რუსთაველის და კახეთის ქუჩებს** დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 136019 ლარი – 6801 ლარი;

**ჩოლოყაშვილის ქუჩის** მოასფალტება – 183035 ლარი – 9152 ლარი;

**დავით აღმაშენებლის ქუჩის** რეაბილიტაცია – 2 672784 ლარი – 133640 ლარი;

**შოთა რუსთაველის ქუჩის** სრული რეაბილიტაცია – 4397547 ლარი – 2019 878 ლარი;

**ჯაფარიძის ქუჩის** მოასფალტება, დამცავი კედლისა და ტროტუარების მოწოდება – 6232440 ლარი – 311622 ლარი;

**კახეთის გზატკეცილი I შესახვევის**, ე.წ. „სოკარის“ მოასფალტება – 220694 ლარი – 11035 ლარი;

**სოფლებში: პატარა ჩაილურში** შიდა

ცენტრალური საავტომობილო გზის მოასფალტება – 294 174 ლარი – 14709 ლარი;

**პატარაქუდში** – ე.წ. ონანთ უბნის გზის მოასფალტება – 390155 ლარი - 19508 ლარი;

**პატარაქუდში** მონასტერთან მისასვლელი გზის მოასფალტება – 449226 ლარი – 22462 ლარი;

**დიდ ჩაილურში** სასამართლო წესის ცენტრალური მაგისტრალის ამოცვლა – 134790 ლარი – 6740 ლარი;

**უდაბნოში** არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია – 55000 ლარი – 2750 ლარი;

**უჯარმის საბავშვო ბაღის** სრული რეაბილიტაცია – 255830 ლარი – 12792 ლარი;

**გომბორში** არსებულ ადმინისტრაციულ შენობაში სპორტული დარბაზის მოწყობა-რეაბილიტაცია – 171600 ლარი – 8580 ლარი.

**ბაღდაურში** ახალი სპორტული დარბაზის მოწყობა – 288650 ლარი – 14433 ლარი;

აღნიშნული პროექტები განხორციელდება მომავალი წლის მარტიდან, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ აზრი გამოთქმეს დეპუტატებმა და ერთხმად დაუჭირეს მხარი მის მოწოდებას. აქვე, საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მთარ ჩალათაშვილმა თხოვნით მიმართა მაჟორიტარ დეპუტატებს უმოკლეს ვადაში კიდევ ერთხელ იმსჯელონ სოფლებში არსებულ პრობლემებზე, დახვეწონ პრიორიტეტები და საბოლოო სახით საკრებულოს წარმოუდგინონ ისინი. აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ საჭიროა მიუღი რიგი პროცედურების გაგება, რაც ვადაში განხორციელების შემთხვევაში საგარეო მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის განსაზღვრული იქნება მილიონნახევარი ლარი.

**სხდომის ღირს წესრიგის მესამე**

**საკითხში** „ქ. საგარეოში, დ. აღმაშენებლის №15-ში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის მარცხენა ფლიგელის სამი ოთახის, საერთო ფართობი 52.295 მ2 პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ორი წლის ვადით აიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის“ გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა **საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ლალი ზაბახიძემ**.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს საგარეო საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური წლების განმავლობაში განლაგებულია აღნიშნულ მისამართზე და ფართობზე, აღნიშნულ სამსახურს სულ ახლახანს მიენიჭა აიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ სტატუსი.

საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარემ სააგენტოს უფროსს ნიკო ჯაფახიშვილს სთხოვა, მოკლედ ინფორმაცია მიეწოდებინა დეპუტატებისათვის სააგენტოს მუშაობის შესახებ. პატონმა ნიკომ ვრცლად და ამომწურავად ისაუბრა სააგენტოს მიერ გაწეული იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ფერმერებთან, ცალკეულ მშრომელთან ინფორმაციის მიტანას, გაცნობა-განმარტებას ითვალისწინებს, რომელიც მთავრობის მიერაა დასახული სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების პროგრამებით. მან ისიც აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მევენახეები 5000 ჰაზე გაშენებული ვენახებიდან 40 000 ტონა მაღალხარისხიანი ყურძნის მიღებას მოელოან. მაგრამ, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყურძნის და ღვინის გადამამუშავებელი ქარხნებში როდის დაიწყებენ მზადებას ყურძნის მისაღებად, ან ვინ რამდენ ტონას, რა სახეობის ყურძნის შეისყიდის მევენახეებიდან.

დეპუტატებისგან დასმული შეკითხვები ძირითადად ეხებოდა იმ კულტურების სახეობების გაცნობას, რომელიც ბოლო წლებში საგარეო მუნიციპალიტეტის გარკვეულ ფართობებზე გაშენდა სახელმწიფო პროგრამებით.









# სპორტი

## ფეხბურთი

### საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ლიგაში „ბარეჯი-1960“ სატურნირო ცხრილის სათავეშია



FC GAREJI 1960

**ამასწინათ** (28 ივნისს) „გარეჯი-1960“-ის ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე გუნდისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩაატარეს ჭიათურელ ფეხბურთელებთან, რომლებიც „მშრალი“ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს. ამ გამარჯვებით ჩვენი ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონატის IV ლიგის პირველი წრის დასასრულისათვის სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ და ალბათ მომავალშიც ეცდებიან, რათა ეს პოზიცია შეინარჩუნონ.

**მატჩის დასრულების შემდეგ ჩვენ შეხვედრით და ამ ფაქტთან დაკავშირებით გავესაუბრეთ „გარეჯი-1960“-ს საგარეჯოელ მწვრთნელებს დათო მამისუბაძეს და რეზო**

#### ხმარებაში.

**დათო მამისუბაძე** – ჭიათურის „ჭიათურასთან“ ამ მატჩის გამართვამდე ჩვენი გუნდი „ფეხდაფეხ“ მისდევდა სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფ თბილისის „სიტის“ და 12 ტურის მდგომარეობით ამ ცხრილში მეორე ადგილზე ვიმყოფებოდით. მოხდა ისე, რომ დამამთავრებელ XIII ტურში „სიტიმ“ წააგო გასვლითი თამაში, ჩვენ კი ჭიათურელები დაგამარცხეთ და როგორც იტყვიან, „ადგილები გავცვალეთ“ – „გარეჯი-1960“-მა პირველ ადგილზე აინაცვლა და II ადგილი „სიტის“ დაუთმო.

**– ამ გამარჯვებას „გარეჯი-1960“ გიორგი ჯოხაძეს უნდა უმაღლედეს, თუ გუნდის სხვა წევრებსაც მიუძღვით ამაში წვლილი? მხედველობაში მაქვს გატანილი ორი გოლი, თორემ გუნდის ერთი მიზნისათვის მონაწილეების გარეშე ერთი და ორი ფეხბურთელი რომ გვრეგვრებს გააკეთებს მინდორზე, ეს ჩემზე უკეთ თქვენ მოგვხსენებთ.**

**–** თქვენ სამართლიანად აღნიშნეთ, რომ მთავარი გუნდის განწყობა გამარჯვებისათვის, რისი შეგრძნებითაც ჩვენი ფეხბურთელები ამ მატჩში საგარეჯოს სტადიონზე გავიდნენ. მათი ეს მოწადინება გიორგი ჯოხაძემ ორი გოლით დააგვირგვინა – ერთი ბურთი პირველ ტაიმში და მეორე გოლი მეორე ნახევარში გაიტანა მეტოქის კარში.

**– თუ შესაძლებელია, იქნებ ფეხბურთის საგარეჯოელ გულშემატკივრებს „გარეჯი-1960“-ის საერთო შედეგებიც გაეაცნოთ?**

**რეზო ხმარებაშილი:** – როგორც დათომ აღნიშნა, გუნდს ნათამაშები აქვს 13 ტური და 31 ქულით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის IV ლიგის სატურნირო ცხრილის I ადგილზეა, პლუსები გვაქვს გატანილი და მიღებული გოლების რაოდენობაშიც, სადაც გატანილი ბურთების რაოდენობა 11-ით სჭარბობს მიღებულს. კერძოდ, გატანილი გვაქვს 27 ბურთი, მიღებულია 16. 13 თამაშიდან გვაქვს 10 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება.

**– „სიტის“ გარდა ამ ეტაპზე ვინ არიან სატურნირო ცხრილის სათავეში?**

**–** ჯერჯერობით ამ სამეულზე პრეტენზიები გვაქვს „გარეჯი-1960“-ს, „სიტის“ და თბილისის „სპაერს“. აქედან მეორე ადგილზე მყოფ „სიტის“ აქვს 28 ქული, მესამე ადგილზე მყოფ „სპაერს“ კი 27 ქულია. მათ ორივეს აქვს 9-9 მოგება, „სიტის“ აქვს 3 წაგება, „სპაერს“ კი 4 წაგება.

**– „ჭიათურასთან“ შეხვედრის დასრულების შემდეგ „გარეჯი-1960“-ს, ასე ვთქვათ, პასიური ეტაპი დაუდგა – თვენახევარი თამაშები არ გექნებათ, სამწვრთნელო-მოსამზადებელი შეხვედრების გარდა. კლუბის ხელმძღვანელები ხომ არ გეგმავენ რაიმე ცვლილებების გატარებას გუნდის შემადგენლობაში?**

**–** გუნდის ტრამპირებელი მთამასეების გამო, ნამდვილად მოგვიწევს რამდენიმე ცვლილების განხორციელება – 2-3 ფეხბურთელის აყვანა, რისთვისაც დაწვებულია სათანადო მუშაობა.

**– როგორც ვიცით „გარეჯი-1960“-ში ორი საგარეჯოელი ფეხბურთელია – ნიკა კუჭუაშვილი და გიორგი ნიჟარაძე. პერსპექტივაში ხომ არ არის მათ კიდევ შემატონ ჩვენებური ფეხბურთელები, თუნდაც იგივე ლაგოდეხის აკადემიაში მყოფი საგარეჯოელი ფეხბურთელებიდან?**

**–** საგარეჯოში, თქვენგან დასახელებულების გარდა, ჯერჯერობით ისეთი ფეხბურთელები არ გვყავს, რომლებიც დააკმაყოფილებენ გუნდის მოთხოვნებს, რაც შეეხება ფეხბურთის აკადემიაში მოსწავლე ახალგაზრდებს, მათ საამისო ასაკი ჯერ არა აქვთ.

**– როლიდან განახლება IV ლიგაში სპორტული სეზონი და რას გეგმავენ „გარეჯი-1960“-ს და მისი ხელმძღვანელობა სამომავლოდ?**

**–** მეორე ლიგაში სპორტული თამაშები განახლება 15 აგვისტოს შემდეგ. საერთო ჯამში დარჩენილია 14 ტური.

**– როგორც უკვე ვიუწყებოდით „გარეჯი-1960“ უკვე გავიდა დავით ყიფიანის სახელობის თანხის გათამაშების მეოთხედიანაში. ვინ იქნება მისი მეტოქე და როდის შედგება ეს შეხვედრა?**

**–** ჩვენი მეტოქე თბილისის „სიტი“ იქნება და ეს შეხვედრა 15 სექტემბერს შედგება. **– გისურვებთ წარმატებებს.**

მსაუბრა მიხი ლაპახიშვილი

## კაკაბეთის ღია საჭიდაო არენაზე ასპარეზობენ ქართული ჭიდაობის ფალანგები



14 ივლისს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით კაკაბეთის ღია საჭიდაო არენაზე ჩატარდა ლეგენდარული გარეჯელი მოჭიდავის, ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ლევან თედიაშვილისა და ჭიდაობა სამბოში მსოფლიო ჩემპიონის კაკაბეთელი უშანგი კუხანაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობა ოთხ წონით კატეგორიაში (დაწვებული 70 კგ-ითა და მძიმეწონიანი კატეგორიით დამთავრებული) ჩატარდა.

დამწვებ 70 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გორელი დავით კოპაძე. მომდევნო 80 კგ-ში უძლიერესი იყო კასპელი ფალანგი გიორგი კაციაშვილი. 90 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული არავის დაუთმო კაკაბეთელმა ძიუდოსტმა, სხვადასხვა ასაკში ევროპის, მსოფლიოსა თუ სხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულმა და პრიზიორმა კობა მჭედლიშვილმა. მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა მცხეთელი ლაშა ტაველური.

აბსოლუტურ ფალანგობაში ფეხის ტრამპის გამო ვეღარ იასპარეზა კობა მჭედლიშვილმა, რითაც ლაშა ტაველურს „გზა გაუხსნა“ გამხდარიყო ჩემპიონი.

ტურნირში გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოებითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით. ასპარეზობას ვებ-ერთან ფალანგებთან ერთად ესწრებოდა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ირაკლი შიოშვილი.

მიხი ლაპახიშვილი

## ბარეჯელი ფერმერები „რესპუბლიკა ურუქი“ – საგარეჯოში

დასასრული



ურუქი  
QJQ71

სახელმწიფო დროშა

საზრდობს ასწლოვანი ვერხვის ფესვები და რას დაპარაკობს ბუხარში დანთებული ცეცხლი... აქ არსებული ვენახებიდან იწყება ურუქისა და ვერახის საზღვრები, მევენახის სახლი, სასტუმრო, პიდროლეკტროსადგურს უტარდება რემონტი, ქარის ელექტროსადგურს კი მხოლოდ ქარი სჭირდება, რომ ღამის წველიაღში აციმციმდნენ წითელი ნათურები, რომლებიც ფერმასთან მისულ მტაცებლებს აფრთხობენ. აქ შეგვიძლია ნახოთ ბუხარის ისეთი რამაც, რასაც მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ. ძველი ურუქის მთავარი გეიშის – შამათის ზღვაში (ტბაზე) მდებარეობს ვიღვამეშის სახელობის პორტი, სადაც გელოდებით აივანიანი ტივი და წყალზედა ნაუტილუსი. ბილიარდის მაგიდაზე შეგვიძლია თამაშოთ ფეხბურთი, ჩოგბურთი, კალათბურთის წესებით, ტირში ანეგმატური შამანით თამაშოთ კარტი... პორტში საზღვაო შუქურაა, სადაც ყოველთვის გრილი ნიავი უბერავს. მნახველს დააინტერესებს „სამეფო რეზიდენცია“, „საპარლამენტო დარბაზი“ სახელმწიფო დროშითა და პიშნით – კახური მრავალეკივით...

**– ვეღაფერი ეს კარგია, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ურუქი და როგორ მოვიდა შენში ეს იდეა?**

**–** ურუქი აწ გადაშენებული ერის – შუმერების ქალაქი სახელმწიფო იყო. შუმერები იყო ერთი, რომელიც 5 ათასი წლის წინ ცხოვრობდა მდინარეების ტიგროსისა და ეფრატის შუამდინარეებში. კაცობრიობის ისტორიაში მათ პირველებმა შექმნეს იმპერია, დამწვრობა, შემოიღეს კანონები, გამოიგონეს ბორბალი, ასტრონომიული კალენდარი, საათი, ირიგაცია, იალქნიანი ნაგები, საფუძველი ჩაუყარეს აგურისა და რკინის წარმოებას, გახსნეს საგანმანათლებლო სკოლები და ჰქონდათ ორპალატიანი პარლამენტი. მეზობელი ხალხები მათ ციდან ჩამოსულებს ეძახდნენ და თვითონაც ამას ადასტურებდნენ. შუმერულ ენას მსოფლიოს არსებული ენებიდან არც ერთი არ ენათესავება, ქართული ენის გარდა. სწორედ ამ ფაქტმა, უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ერის გაქრობის სევდამ და ურუქის მეფე – ვიღვამეშთან სულიერი სიახლოვის აღმოჩენის სიხარულმა გადაამწვევინა რესპუბლიკა ურუქის დაარსება საგარეჯოში. ჩემი მიზანია ჩემს მიერ დაარსებულ ურუქში აინთოს ეროვნული სულიერების ისეთი ცეცხლი, რომელიც გავრცელდება მთელს საქართველოში... იქნებ როგორმე გადავურჩეთ ქართველები მსოფლიო გლობალიზაციის ზეგავსაში ჩამარხვას.

**– ვეღაფერი, რაც თქვენს ფერმაშია და თქვენი ჩანაფიქრიც ნამდვილად პატრიოტული და ეროვნულია, საგარეჯოელებმა ზოგადად ვიცით და არ გეჭირდება მისი მიგნება, მაგრამ დედაქალაქისა და სხვა ვიზიტორების მოსაზიდად და გზის გასაგეგვად კარგი იქნება თუ „ურუქის“ კოორდინატებსაც გავსაჯავრობთ...**

**–** ფერმა – „რესპუბლიკა ურუქი“ მდებარეობს მდინარე იორის მარჯვენა სანაპიროზე, თბილისიდან 65 კილომეტრში, საგარეჯო-უდაბნოს გზის მე-10 კილომეტრში მდინარე იორის ხიდიდან ზუსტად 1700 მეტრში, გზის მარჯვენა გადასახვევში, სადაც მანიშნებელი წარწერა გამცნობთ, რომ თქვენ მიდინართ რესპუბლიკა ურუქში და 15 წუთში უკვე ადგილზე იქნებით, სადაც სტუმრებს ყოველთვის გულდიად დაგხვდებათ ამ რესპუბლიკის დამაარსებელი როსტომ როსტიაშვილი.

მიხი ლაპახიშვილი





# საჭადრაკო კლუბ „გარეჯის“ პირველი წარმატებები

2019 წლის 22 მარტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის საჭადრაკო ცხოვრებაში. ამ დღეს, თითქმის 40 წლის შემდეგ, საგარეჯოში დაფუძნდა საჭადრაკო კლუბი „გარეჯი“, რომლის წინაისტორია ასეთია:

1983 წლამდე საგარეჯოელ მოჭადრაკეებს, ჭადრაკის მოყვარულებს არ გააჩნდათ „საკუთარი თავშესაფარი“ – ოთახი, სადაც შეიძლებოდა მოჭადრაკეთა შეჯიბრების გამართვა. 1983 წლის 31 მაისი მნიშვნელოვანია ჭადრაკის მოყვარულთათვის. ამ დღეს მაშინდელი რაიკომის I მდივნის მედეა მეზერაშვილის ინიციატივითა და თანადგომით ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ორსართულიანი ჭადრაკის კლუბი. ამ დღეს რაიონის ჭადრაკის მოყვარულთა სიხარული გაიზარდა მსოფლიოს ჩემპიონებმა: ნონა გაფრინდაშვილმა, მაია ჩიბურდანიძემ, მიხეილ ტალმა, მსოფლიოს გამომწინდელი დიდოსტატებმა – იური ავერბახმა, ალექსი სუეტინმა, ნიკოლოზ კროგიუსმა, მრავალჯერ ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ნანა ალექსანდრიამ, ნანა იოსელიანმა, ნინო გურიელმა, დიდოსტატმა ელვარდ გუფელდმა, ამერიკელმა დიდოსტატმა რონალდ ჰენლიმ (მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვის მწვრთნელი), ორჯერ ოლიმპიური და ხუთჯერ მსოფლიოს ჩემპიონმა ჭიდაობაში ლევან თელიაშვილმა და სხვებმა.

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა რაიონში საჭადრაკო ცხოვრების აღმავლობის საწინდარი. გაითვალისწინა რა რაიონის მდიდარი საჭადრაკო ტრადიციები, მოჭადრაკეთა წარმატებები, საგარეჯოში იმ დროს მოღვაწე მსოფლიოს ორჯერ ჩემპიონის, სსრკ-ს მრავალჯერ ჩემპიონის საჭადრაკო კომპოზიციაში, დიდწილურად დიდოსტატის დავით გურგენიძის მსოფლიო აღიარება, საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდა მოჭადრაკეების საჭადრაკო არენაზე გამოჩენა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ოსტატობის კანდიდატები: ირაკლი ქვლივიძე, დავით ექვთიშვილი, მარინე მკვდლიშვილი და სხვები ქნმა მედეა მეზერაშვილმა ღირსეული საჩუქარი გაუკეთა რაიონის ჭადრაკის მოყვარულებს. ჭადრაკის კლუბმა დავით გურგენიძის ხელმძღვანელობით რამდენიმე წელი წარმატებით იფუნქციონერა. მაგრამ, შემდეგ დამით გაჩენილმა ხანძარმა მთლიანად შთანთქა არა მარტო შენობა, არამედ მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა. რაიონის ჭადრაკის მოყვარულები დარჩნენ თავშესაფრის გარეშე. ამის შემდეგ მიხედვით საჭადრაკო ცხოვრება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ წარმატებულ საჭადრაკო ეპიზოდებს.

და აი, თითქმის 40 წლის შემდეგ, ჭადრაკის დიდი ქომაგის, ამავდარი მწვრთნელის, ოსტატობის კანდიდატის ირაკლი ქვლივიძის მონდომებით და მისი გუნდის (ალექსი არაბული, თენგიზ კობიაშვილი, ოთარ და ზურაბ ქურთიშვილები, ზურაბ აგულაშვილი და სხვები) მხარდაჭერით, საგარეჯოში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოთარ ჩალათაშვილის, მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის, მისი ყოფილი მოადგილის პაატა ასრათაშვილის მხარდაჭერითა და თანადგომით 2019 წლის 22 მარტს საგარეჯოში დაფუძნდა და მუშაობას შეუდგა საჭადრაკო კლუბი „გარეჯი“ (თავმჯდომარე ირაკლი ქვლივიძე).

საჭადრაკო კლუბი „გარეჯის“ დაფუძნება დაემთხვა სასიამოვნო სიახლეს რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებაში – პირველად დაიწყო საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის I ლიგის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ ქვეყნის წამყვანი საჭადრაკო კლუბები. მიუხედავად იმისა, რომ მათ შემადგენლობაში გამოდიან ცნობილი დიდოსტატები, მხოლოდ ადგილობრივი მოჭადრაკეებით დაკომპლექტებულმა საჭადრაკო კლუბმა „გარეჯმა“ (კაპიტანი ირაკლი ქვლივიძე), რომლის შემადგენლობაში გამოდიან: 10 წლამდელები (VII-VIII დაფა): ფარული საბრი, თამაზ თუშიშვილი, შიო შიოშვილი, მარიამ აგულაშვილი, 12 წლიანებში (V-VI დაფა): ზუკა გამრეკელაშვილი, ნინო ესაიაშვილი, ალი ფარული, 16 წლამდელებში (III-IV დაფა): ნიკა კველიშვილი, ლევან დაღობაშვილი და ლია (II დაფა) ირაკლი ქვლივიძე, ნანი უნაფქოშვილი, თენგიზ კობიაშვილი, სახნი გაჯიყვი, წარმატებით დაიწყო გამოსვლა – დაამარცხა შიდა ქართლის „გორი“, სამცხე-ჯავახეთის „ახალციხე“. შეხვედრები შემოდგომით განახლდება და იმედი გვაქვს „გარეჯი“ კიდევ არაერთ გამარჯვებას მოიპოვებს.

თენგიზ კობიაშვილი

# საჭადრაკო გაზაფხული



მაისი და ივნისის თვის დასაწყისი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა საქართველოს და მათ შორის საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეებისათვის. მაისის შუა რიცხვებში ჩატარებულ საქართველოს სხვადასხვა ასაკის ბიჭებისა და გოგონათა ასპარეზობა წარმატებულად აღმოჩნდა მათთვის – მათ ვერ შეძლეს საპრიზო ადგილებზე გასვლა და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების საგზურების მოპოვება.

სამაგიეროდ, 1-2 ივნისს თელავში ჩატარებულ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ტურნირში იყინაღეს და 2 ვიცე ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს 8 წლამდელი შორის. ვაკეში იმარჯვა ფართილი საბრიმ, რომელმაც 6.5 ქულით 9 შესაძლებლობიდან ვაკეთა შორის დაიკავა II ადგილი და მხოლოდ თელაველ ანდრია არუთინოვს ჩამორჩა, რომელსაც აბსოლუტური მაჩვენებელი 9-დან 9 ქულა ჰქონდა.

გოგონათა შორის ასევე მეორე ადგილი დაიკავა მარიამ აგულაშვილმა, რომელიც პირველი დღის ბოლოს ლიდერობდა აბსოლუტური შედეგით 4-დან 4 ქულა, მაგრამ მეორე დღეს პირველივე შეხვედრა მოუწია ანდრია არუთინოვთან, იგებდა კიდევ, მაგრამ ბოლოს უყურადღებოა გამოიჩინა, მაშინ როცა მისი მეტოქე სვლავს იმეორებდა ყაიმის მისაღწევად. ფიგურა დარჩა და უცვლელი და წააგო. ამის მიუხედავად ბოლო ტურში ყაიმის შემთხვევაშიც ჩემპიონი ხდებოდა, მაგრამ იქაც მოულოდნელად წააგო და II ადგილს დასჯერდა.

ასევე, ბოლო ტურში ფაქტობრივად მოგებულ პარტიის წაგების გამო III ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაკარგა ნინო აგულაშვილმა. და IV ადგილს დასჯერდა. 3 ივნისიდან კი საგარეჯოელი პატარები ინსტიტუტის სახელობის მემორიალში ჩაებნენ. მათთან, მათ ამჯერადვე ვერ შეძლეს საპრიზო ადგილის მოპოვება, მაგრამ მათმა მწვრთნელმა ირაკლი ქვლივიძემ მოიპოვა ვერცხლის მედალი მწვრთნელთა კონკურსში.

ივნისის ბოლოს დაგეგმილი იყო გუნდური შეჯიბრება – ქარსელაძის მემორიალი თბილისში, სადაც საგარეჯოს გუნდი სავარაუდოდ ფავორიტთა შორის უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტურნირი თბილისში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო გადაიდო და სავარაუდოდ შემოდგომაზე ჩატარდება.



# საგარეჯოს ბიბლიოთეკა 130 წლისაა

## ბაბრქალა


ადამიანი კარგი წიგნით ხელში არასოდეს მარტო არ იქნება

კარლო გოლდონი



საგარეჯოს პირველი ბიბლიოთეკარი ქეთევან ბეღიაშვილი

მკვლელობა-მონასტრების ბიბლიოთეკების გარდა XVIII საუკუნის საქართველოში განხილავთ ბიბლიოთეკებიც. ქართველი მეფეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ პოეზიის დიდი სიყვარულით, თვითონ წერდნენ ლექსებს და თარგმნიდნენ კიდევ უცხოურ ლიტერატურას. ამგვარად სამეფო კარის წიგნთსაცავებში მრავლად ინახებოდა საუკეთესო წიგნები. მას შემდეგ კი, რაც თბილისში სტამბა აშუშავდა, სტამბური წესით დაბეჭდილი წიგნების რაოდენობამ იმატა და



ალ. ცხვედაძე

უკვე აზნაურთათვისაც შესაძლებელი გახდა მათი შექმნა. XVIII საუკუნის I ნახევრიდან, ერეკლე II მეფობის დროს უკვე ტრადიციად იქცა ქალებისათვის მხოლოდწიგნების გატანება.

ჩვენამდე მოღწეულმა ძველი წიგნების კვებზე გაკეთებულმა წარწერებმა გაგვაგებინა, ვის ეკუთვნის ამდენი წიგნი, რა მიზნით შეიძინა პატრონმა ისინი. ეს განსაკუთრებით თქმის „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც ვახტანგ VI სტამბაში მრავლად იბეჭდებოდა.

XIX საუკუნის დადგომამ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ვითარება შექმნა. საქართველო რუსეთში შეიერთა. ქვეყანაში გაუქმდა სამეფო კარი. ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვან დინასტიას ქვეყნის მართვის სადავეები ჩამოართვეს, ქვეყანაში არეულობა დაიწყო. არავის ეცალა ბიბლიოთეკებისათვის. შინაური შფოთი და ქვეყნის დასოკიდებლობისათვის ბრძოლა მრავალი ათეული წელი გაგრძელდა. ამ დროს გადაწყვეტილი სიტყვა უნდა ეთქვა ქვეყნის ინტელიგენციას. მეფისნაცვლები ქვეყნიდან სდევნიდნენ ქართულ ენას. ისინი დიდ ქალაქებში ხსნიდნენ სათავადაზნაურო სკოლებს, სადაც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისში 1848 წელს საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა. ქართველ საზოგადოებას გაუჩნდა მოთხოვნა თბილისში წიგნთა მუშაობისა. ამან უშველა ქართველობას, არ დაეკარგათ ეროვნული სახე.

XIX საუკუნის ბოლოს, მიუხედავად ბევრი შეზღუდვისა, საქართველოს მივლი მასშტაბით დაიწყო ბიბლიოთეკების გახსნა. სახალხო ბიბლიოთეკები უფრო დიდ როლს ასრულებდნენ მასების ცოდნის ამაღლებაში, მაგრამ მარტო მათი გახსნა არ იყო საკმარისი, თუ მას მხარდაჭერა არ ექნებოდა საზოგადოებისგან. სახელმწიფო მათ პირიქით, ხელს უშლიდა და საერთოდ არ ზრუნავდა.

ბიბლიოთეკების გახსნას ხელი უშუალოდ თეატრების გახსნამაც, ჩამოყალიბდა ტრადიციად – თეატრებს სპექტაკლების ჩატარების შედეგად შემოსული თანხა ბიბლიოთეკებისთვის წიგნების შესაძენად გამოყენებინათ.

ყოველივე ამის შესახებ ვგებულობთ იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან. აქედან ვიგებთ საგარეჯოში ბიბლიოთეკის გახსნის შესახებაც.

XIX საუკუნის ბოლოს საგარეჯოში ჩამოვიდა ახალგაზრდა მასწავლებელი ალ. ცხვედაძე. ის გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის მოწოდებას – გასულიყოფი სოფლებში და განათლება შეეძინათ ხალხში. ის დაიბადა გორის რაიონის სოფელ კავთისხევში, მღვდლის ოჯახში. გორის სემინარიის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა საგარეჯოში და დაიწყო ზრუნვა სკოლის გახსნისკენ. მისი ინიციატივით აშენდა 1875 წელს საგარეჯოს დაწყებითი ტიპის სამონასტრო სკოლა. ალექსანდრე ცხვედაძე არა მარტო პედაგოგის საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი სიმონ მოვარაძე თავის 1926 წელს გამოცემულ წიგნში „საგარეჯოს თეატრის 50 წელი“, წერდა, რომ ის იყო უაღრესად აქტიური პიროვნება. მისი ინიციატივით საგარეჯოში გაიხსნა სამომხმარებლო კომპანია „დეპო“, სასოფლო ბანკი, ხოლო 1875 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა დრამატული დახი და დაიწყო კიდევ რეპერტოები.

როგორც უკვე ვთქვით, ცხვედაძემ შექმნა თეატრის მოყვარულთა ჯგუფი, ისინი აწყობდნენ სპექტაკლებს და შემოსული თანხით ეხმარებოდნენ სკოლას. ალ. ცხვედაძემ სკოლასთან შექმნა პატარა სამკითხველო ოთახი, სადაც პეტრე-პავლეს ეკლესიიდან წამოდებული წიგნებით მოაწყო სამკითხველო.

ცხვედაძესთან ერთად საზოგადოების დახმარებლად აქტიურად საქმიანობდა იაკობ გოგებაშვილის ახლო მეგობარი ნიკო ჯაბადარი. სწორედ ის დაიხმარა ცხვედაძემ და სთხოვა იაკობ გოგებაშვილს – დახმარებოდა სკოლას და გამოეგზავნა „დედა ენის“ წიგნები. მართლაც, იაკობ გოგებაშვილმა გამოეგზავნა არა მარტო „დედა ენა“, არამედ თბილისის საზოგადოებაში შეროვილი წიგნები. ალ. ცხვედაძე გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 40 წლის ასაკში. მადლიერმა საგარეჯოელებმა მისი ცხედარი ითანე ნათლისმცემლის ეკლესიაში დაკრძალეს, შემოღობეს რკინის მოაჯირით და დააღეს მარმარილოს ქვა წარწერით.

1929-1930 წლებში ნათლისმცემლის ეკლესია დაანგრიეს ბოლშევიკებმა და მის ადგილზე ააშენეს ჩეკას შენობა (დღევანდელი საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი). მიწის სამუშაოების დროს ალ. ცხვედაძის საფლავი მოწასთან გაასწორეს და მიწის ფენით დაფარეს.

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ბუდის ირონით ისევ მიწის სამუშაოების დროს ექსკავატორმა ამოთხარა უცნობი საფლავი და საფლავის ქვა. ეს იყო 1991 წლის თებერვალში. ამის შესახებ დაიწერა 1991 წლის გაზეთ „ივრის განათიადში“.

საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ რაიონის ხელმძღვანელობას აცნობა საგარეჯოს საბავშვო ბაღის გამგემ თამარ გოცირიძემ. ისტორიკოს ალექსანდრე ელვარაშვილის დახმარებით მოიძიეს ხანდაზმული ადამიანები, იმ ადგილმდებარეობის კარგად მოკვნილი: გიორგი ოქრუაშვილი, ნინო გარსიაშვილი, გიორგი მეხერაშვილი და ლუარსაბ ყანდარელი. მათზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ეს ნამდვილად ალ. ცხვედაძის საფლავი იყო. მისი ნეშტი გადასვენეს საბავშვო ბაღის ეზოს შესაფერის ადგილზე და მისი მოვლა-პატრონობა ბაღის ადმინისტრაციამ ითავა.

თეატრის მოყვარულები რიგ-რიგობით მორიგეობდნენ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის გახსნაში ალ. ცხვედაძეს დიდი დახმარება გაუწიეს იერემია გულისაშვილმა, ექიმმა ე. იაშვილმა, მასწავლებელმა გ. აბულაშვილმა. იმდროინდელი სტუდენტი ალ. არუთინოვი იკონებს, რომ ბიბლიოთეკაში ინახებოდა ვახტანგ VI-ის „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „გეოგრაფია“, აკადემიკოს მარი ბროსეს და დ. ბაქრაძის გამოკვლევები, ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების: ჩახრუხაძის, მოსე ხონელის, არჩილ მეფის, თეიმურაზის, სულხან-საბას ნაწარმოებები.

იმის შესახებ, თუ რომელ წელს გაიხსნა ბიბლიოთეკა საგარეჯოში ალ. ლორია თავის წიგნში „საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში“ გვამცნობს, რომ საგარეჯოში ბიბლიოთეკა გაიხსნა 1892 წელს. ხოლო ჟურნალ „ივერის“ 1889 წლის გამოცემაში დაბეჭდილი ცნობიდან ვიგებთ, რომ ბიბლიოთეკა სწორედ ამ წელს გაიხსნა. ვინ-ვინ და ილია ჭავჭავაძე თავის ჟურნალ „ივერიაში“ ნამდვილად არ დაბეჭდავდა ტყუილ ინფორმაციას. ამავე წელს დაინიშნა პირველი ბიბლიოთეკარი, არა დამხმარე და მორიგე სტენოგრაფი, არამედ პირველი ოფიციალური ბიბლიოთეკარი, რომელსაც დაუნიშნეს ხელფასი თეატრის სპექტაკლებიდან შემოსული თანხიდან. ეს იყო ქეთევან ივანეს ასული ბეღიაშვილი. (მის შესახებ ცნობების და სურათი გადმოცემა მისმა ნათესავმა თინა ბეღიაშვილმა). ქ. ბეღიაშვილს ბიბლიოთეკის მოწყობაში დახმარებას უწევდა საშა ბურთიკაშვილი. სწორედ მისი დახმარებაა წიგნების კლასიფიცირება და სისტემაში მოყვანა.

1904 წელს ბიბლიოთეკა გადაიტანეს დაწყებით სკოლაში (დღევანდელი საგარეჯოს II საჯარო სკოლის შენობაში).

ლია ურდულაშვილი,

საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

ბაბრქალა იმეძა



# რა უნდა ვიცოდეთ არჩევნების პროპორციული სისტემის და ნულოვანი ბარიერის შესახებ?

**2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით, ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში ჩატარდება.** ამის შესახებ მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა. სწორედ ეს იყო ბოლო დღეების განმავლობაში რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა. რას ნიშნავს არჩევნების პროპორციული სისტემა? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მას? რას გულისხმობს ნულოვანი საარჩევნო ბარიერი?

## რა სახის საარჩევნო სისტემები არსებობს?

მსოფლიო პოლიტიკაში საარჩევნო სისტემის 3 სახეობა არსებობს: მაჟორიტარული, პროპორციული და შერეული. პოლიტოლოგები, ექსპერტები თუ თავად პოლიტიკოსები თანხმდებიან, რომ იდეალური არცერთი მათგანია. სამივეს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. საარჩევნო სისტემების საკანონმდებლო მასხვებზე ნიშნება საარჩევნო ოლქების მასშტაბი, ბიულეტენის სტრუქტურა, საარჩევნო ბარიერი, პარტიული სიების ტიპი, ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა და ა.შ. საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია საარჩევნო ფორმულა, რომელიც მიღებული ხმების მიხედვით მოპოვებული მანდატების რაოდენობას განსაზღვრავს.

## რას გულისხმობს პროპორციული საარჩევნო სისტემა?

პროპორციული საარჩევნო სისტემა პირველად ბელგიაში, 1889 წელს გამოიყენეს. დღეისათვის არჩევნების სწორედ ეს ფორმა მოქმედებს 50-ზე მეტ ქვეყანაში. მათ შორის არის ისრაელი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია და სხვ. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან რამდენიმე კრიტერიუმით განსხვავდება. ესენია, ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემისა და პარტიებს შორის მანდატების განაწილების წესები. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია, ქვეყანა ერთ მრავალმანდატან საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, თუ რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად არის დაყოფილი და რა თქმა უნდა, არის თუ არა დადგენილი საარჩევნო ბარიერი.

## როგორ ხდება ხმის მიცემა პროპორციული სისტემის დროს?

პროპორციული სისტემის შემთხვევაში პარტიები ან ბლოკები არა ერთეულ კანდიდატებს, არამედ სიებს წარადგენენ. ეს შეიძლება სხვადასხვა ფორმით მოხდეს. არსებობს ხისტი სიები, „მოქნილი“ სიები, პრეფერენციები და „თავისუფალი“ სიები. ხისტი სიების გამოყენებას ამომრჩეველი ხმას აძლევს სასურველ პარტიულ სიას მთლიანობაში. სწორედ ამ სახის პროპორციული სისტემა მოქმედებს ესპანეთში, პორტუგალიაში, ისრაელში, რუსეთსა და უკრაინაში.

პრეფერენციული სისტემის პირობებში ამომრჩეველი ხმას აძლევს სიასაც და კანდიდატებსაც, ანიჭებს მათ რიგით ნომრებს (1,2,3,...), რითიც მიუთითებს, კანდიდატების როგორი თანამიმდევრობაა მისთვის უფრო სასურველი. სწორედ ეს მიღებული მოქმედებს ფინეთში, ბელგიაში და პოლანდიაში.

„მოქნილი“ სიების სისტემა სწორედ წინა ორი სისტემის ნაკლოვანებების გადასაღებად შემოიღეს. მისი გამოყენებისას ამომრჩეველს საშუალება აქვს აირჩიოს როგორც პარტიული სია, ასევე განსაზღვროს პრეფერენციები - ერთი ან რამდენიმე კანდიდატის მითითებით. ეს სისტემა მოქმედებს შვეიცარიაში, ავსტრიაში და იტალიაში.

კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ამომრჩეველს ეგრეთ წოდებული თავისუფალი სიები, რომელიც ფინეთის პარლამენტის არჩევნისას გამოიყენება. ამ შემთხვევაში ბიულეტენებში კანდიდატთა სია მოცემულია ანბანური თანამიმდევრობით, მაგრამ მითითებულია პარტიულობაც. პარტიებზე მანდატები ნაწილდება მისი წევრი კანდიდატების მიერ მიღებული ჯამური ხმების რაოდენობის მიხედვით, პროპორციული განაწილების წესით.

## როგორ ნაწილდება მანდატები პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში?

ეს პროცესი შეგვიძლია განვიხილოთ პოლანდიის მაგალითზე, რომლის პარლამენტიც 150 დეპუტატისგან შედგება. მანდატები ითვლება შემდეგნაირად - ხმების საერთო რაოდენობა იყოფა 150-ზე. პოლანდიის ბოლო არჩევნებში ეს შედეგი იყო 62,828. ეს იმას ნიშნავს, რომ ამდენი ხმა უნდა საჭირო იქნას მანდატისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ პოლანდიის ბოლო არჩევნებში 13 მილიონი ამომრჩეველიდან 9 მილიონ 500 ათასი მონაწილეობდა.

თუ ამ ფორმულას ქართულ რეალობას მოვარგებთ, ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების რაოდენობას გაითვალისწინებთ და გაყოფთ მას პარლამენტის წევრების რაოდენობაზე (1 814 276 : 150) მივიღებთ 12, 095-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტიას, რომელიც ამ რაოდენობის ხმას მიიღებს, ერთი მანდატი ეკუთვნის.

მიუხედავად იმისა, რომ მანდატების განაწილება თანამედროვე ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში დივერსიფიცირებულია, დონდტის მეთოდი არის მანდატების განაწილების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და აღიარებული ფორმა. ეს არის ფორმულა, რომელიც სწორედ პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში მოქმედებს და რომლის პრაქტიკაც არსებობს ევროკავშირის 15 წევრ-ქვეყანაში მაინც (ავსტრია, ესპანეთი, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, დანია, ესტონეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვენია, ფინეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა). ამ მეთოდს იყენებენ შოტლანდიასა და უელსშიც.

დონდტის ფორმულა უკავშირდება ბელგიელ იურისტსა და მათემატიკოსს, ვიქტორ დონდტს, რომელმაც ეს მეთოდი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში განავითარა. ინიციატივა მიზნად ისახავდა ბელგიის პარლამენტში სხვადასხვა ლინგვისტური ჯგუფებისა და პოლიტიკური ტრადიციების წარმოდგენას.

## რა უზრატესობა აქვს პროპორციულ სისტემას?

არჩევნების პროპორციული სისტემის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა ის, რომ უზრუნველყოფილია სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანების სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევა. უფრო კონკრეტულად, პარტიის მიერ მიღებულ მანდატთა რაოდენობა მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციულია. რაც იმას ნიშნავს, რომ გამორიცხულია, პარტია, რომელიც ამომრჩეველთა ხმების ნახევარს მიიღებს, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით შევიდეს.

გარდა ამისა, ძალიან მცირეა „დაკარგული“ ხმების რაოდენობა; პარტიას შეუძლია პარტიული სიის მეშვეობით უზრუნველყოს სათანადო განათლების, გამოცდილებისა და უნარის მქონე, მაგრამ ამომრჩევლებსთვის ნაკლებად ცნობილი პირის არჩევა; საბოლოო ჯამში კი არჩევნების ეს ფორმა აყალიბებს უფრო მეტად მრავალპარტიულ სისტემას, რადგან პარლამენტში მეტი პარტიაა წარმოდგენილი.

## რა უარყოფითი მხარე აქვს პროპორციულ საარჩევნო სისტემას?

არჩევნების პროპორციული სისტემის შემთხვევაში ამომრჩევლისთვის რთულია პარტიული სიებით წარდგენილი კანდიდატების ვინაობაში გარკვევა. ამიტომაც მოქალაქე თავის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პარტიის ლიდერთა მიმართ თავისი პირადი დამოკიდებულების შესაბამისად იღებს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ არცთუ იშვიათად, არჩეულ პირებს შორის ხედვებიან ისეთებიც, რომელთა ფუნქციაც, ფაქტობრივად, მხოლოდ კოორუმის შექმნა და კენჭისყრაში მონაწილეობაა (ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია ე.წ. „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის).

არჩევნების პროპორციული სისტემის შემთხვევაში პარტიულ სიებს, როგორც წესი, პარტიის ხელმძღვანელობა (და არა პარტიის წევრები) ადგენს. შესაბამისად, გამორიცხული არ არის, რომ სიები პირადი ერთგულების პრინციპით შედგეს. მართალია, დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი

რამ იშვიათად ხდება, მაგრამ „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის ეს ნამდვილი გამოწვევაა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თუ ქვეყანაში უპოლიტიკური სიტუაციაა, წარმომადგენლობითი ორგანოც ძალიან „ტრედი“ გამოვა, რაც, როგორც წესი, პოლიტიკურ არასტაბილურობას იწვევს. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად იქმნება საარჩევნო ბარიერი.

## რომელი საარჩევნო სისტემა მოქმედებს დღეისათვის საქართველოში?

დღეისათვის საქართველოში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად შერეული - პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემა მოქმედებს. ეს მიღელი თავის დროზე გერმანიის გამოცდილების გათვალისწინებით დაინერგა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის 150 დეპუტატიდან, 77 პარტიული სიით არის არჩეული, 73 კი მაჟორიტარია. პარტიები წარადგენენ, ერთი მხრივ, 150-კაციან პარტიულ სიას და მეორე მხრივ, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს თითოეულ ოლქში.

## აქვს თუ არა საქართველოს არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების გამოცდილება?

დიახ. 1919 წლის 14-16 თებერვალს დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც ამაღროდ უნდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები იყო საქართველოში, სწორედ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარდა. არჩევნებში 15 პარტია მონაწილეობდა, 6 მათგანი კი პირველ საკანონმდებლო ორგანოში შევიდა.

## საარჩევნო სისტემების რომელი მოდელია ყველაზე პოპულარული?

2005 წლისათვის მსოფლიოს 199 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან, სადაც არჩევნები ტარდება, 91-ში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად მაჟორიტარული ტიპის სისტემა გამოიყენებოდა, 72 ქვეყანაში - პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა, 30-ში კი - შერეული სისტემა (დარჩენილი 6 ქვეყნის საარჩევნო პროცედურა არცერთ ამ სისტემაში არ ჯდება). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში მეტწილად არჩევნების პროპორციული სისტემა გამოიყენება.

## რა არის საარჩევნო ბარიერი?

საარჩევნო ზღურბლი იგივე ბარიერი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა, რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მანდატების განაწილებაში მიიღოს მონაწილეობა. საარჩევნო ბარიერის დაწესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში იმ პარტიების წევრთა მოხვედრას, რომლებიც ამ ორგანოში „ამინდს“ ვერ შექმნიან.

საარჩევნო ბარიერის დაწესებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან მაღალი პროცენტული მაჩვენებლის შემთხვევაში შეიძლება ზღურბლი გადააღებინოს პარტიების მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მოწინააღმდეგეთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ამის შედეგად კი ისინი მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლებად დარჩებიან. აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან ზღურბლს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება.

ისეთ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური (პარტიული) სისტემა ჩამოყალიბებულია და არჩევნებში ძირითადად ორი-სამი ძლიერი პარტია მონაწილეობს, ბარიერი ამომრჩეველთა წარმომადგენლობაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. გარდამავალი ქვეყნებისათვის კი სასურველია, რომ საარჩევნო ზღურბლის სიდიდე 3-5%-ს არ აღემატებოდეს.

საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მოქმედებდა 4%-იანი ბარიერი, რომელიც მხოლოდ ორმა პარტიამ („მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ და კომუნისტური პარტია) გადალახა.

1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ბარიერმა 2%-მდე დაიწია და ეს ნიშნული 24-მა პოლიტიკურმა პარტიამ გადალახა. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე მრავალპარ-

ტიული პარლამენტი, რომლის არჩევაშიც 2 575 197 ამომრჩეველი მონაწილეობდა.

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ბარიერი იყო 5%, რომლის გადალახვა მოახერხეს „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“, „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ და „დღორძინება“.

ყველაზე მაღალი ბარიერი - 7% მოქმედებდა 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, რომელშიც 45 პარტია მონაწილეობდა. საკანონმდებლო ორგანოში „მოქალაქეთა კავშირი“, „აღორძინება“ და ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ იყო წარმოდგენილი.

2004 წლის 28 მარტის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებში ასევე 7%-იანი ბარიერი გადალახეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“.

2008 წლის 21 მაისის არჩევნებში საარჩევნო ბარიერმა ისევ 5%-მდე დაიწია. 2012 წლის არჩევნები კი იყო პირველი არჩევნები, როდესაც გუნდი დამარცხდა. ხელისუფლებაში მოვიდა „ოპოზიციის ქართული ოცნება“. საარჩევნო ბარიერი მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა ძალამ - „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადალახა.

2016 წლის არჩევნებზეც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი მოქმედებდა.

## რას ნიშნავს ნულოვანი ბარიერი?

ნულოვანი ანუ ბუნებრივი ბარიერის პირობებში, საქართველოს პარლამენტში მოხვედრას შეძლებს ბევრი პოლიტიკური სუბიექტი, რომელთაც თავის დროზე 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს. სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ არანაირი ბარიერი არ იარსებებს. ამ ფორმულით ფორმულით, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლის რაოდენობა (1 814 276) საპარლამენტო მანდატების რაოდენობაზე (150) იყოფა, მიიღება 0,67% (12, 095). ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიას, რომელიც საერთო ხმების 0,67%-ზე მეტს მოაგროვებს, ყოველ ამ მაჩვენებელზე პარლამენტში 1 დეპუტატი ეყოლება.

პოლიტოლოგების განმარტებით, ნულოვანი ბარიერი ყველა ჯგუფს, მათ შორის პომოფობიურს, მარგინალურს და ა.შ აძლევს შესაძლებლობას, პარლამენტში თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს. კონსტიტუციონალისტები და პოლიტოლოგები თანხმდებიან, რომ აქ გარკვეული რისკები არსებობს. კერძოდ, პარლამენტში შეიძლება იყოს მცირე მხარდაჭერის მქონე პარტია, რომელიც 1 ან 2 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი, რაც პოლიტიკური გარემოს ფრაგმენტაციას გამოიწვევს. სპეციალისტების აზრით, აქვე მნიშვნელოვანია, იქნება თუ არა ბლოკები წარმოდგენილი და თუ არ იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიები მონაწილეობას მხოლოდ ინდივიდუალურად შეძლებენ. პოლიტოლოგები გაუნაწილებელი მანდატების პრინციპზეც საუბრობენ. მათი აზრით, გაუნაწილებელი მანდატები მაინც დარჩება და მნიშვნელოვანია, ვინ მიიღებს მათ.

მმართველი გუნდის შეთავაზება საკონსტიტუციო ცვლილებას გულისხმობს. ამისათვის საჭიროა ჯერ ინიცირება, შემდეგ საყოველთაო განხილვები და სამი კენჭისყრა. სავარაუდოდ ეს სიხვედრე საშემოდგომო სესიების დასრულებისას დამტკიცდება. ამისათვის კი 113 ხმა არის საჭირო. არასამთავრობო სექტორის აზრით, თუ ამ ცვლილების მისაღებად უმრავლესობას ოპოზიციის ხმები დასჭირდება, მათ ეს უნდა მიიღონ, რადგან აქ მნიშვნელოვანია არა ვიწრო პოლიტიკური ინტერესი, არამედ ამომრჩევლის ნების გამოხატვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

არასამთავრობო სექტორში განმარტავენ, რომ პოლიტიკაში ადამიანები ვერ მიდიოდნენ, რადგან 5%-ის დაგროვება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი იყო. ეს მითხროვდა საარჩევნო კამპანიის წარმოებას, ფინანსური რესურსის მოხილვას. ნულოვანი ბარიერი კი ეს ყველაფერი გაცილებით მარტივი ხდება. პოლიტოლოგები ბუნებრივ ბარიერს დემოკრატიის განვითარების ახალ საფეხურად მიიჩნევენ.

საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით კონსულტაციები პოლიტიკურ სუბიექტებთან დაწყებულია. და განხილვები მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება.





# გამოსაურება ახლადგამოცემულ წიგნზე

– ეს სასწაულია! ჩემო თამაზ, მე ტყუილად კი არ გიწოდებ, რუსთაველის შვილობილი ხარ, - მეტყვი. ეს პუბლიკები პირდაპირ ღვთის საუფლოდან გადმოღვივებული რუსთაველის ცრემლებია. ეს კაცი სულმნათი რუსთაველის შთამომავალია, მისი ჯიშია, მისი გენია, ვისაც ეჭვი გეპარება ამ კაცის სტრუქტურაში, ვაზის და სამშობლოს სიყვარულში, ერთხელ შეიარეთ მის მარანში, სადაც ძველი რქაწითელის და ბუდეშურის სურნელება ტრიალებს, თვითონ დარწმუნდებით ამ სასწაულში. იქ დავით აღმაშენებლის, მზეთამზე თამარის და რუსთაველის ეპოქის ღვთიური სურნელება ტრიალებს. აი, რატომ ინტერესდება თამაზ ქვლივიძის ღვთიურობით მივლი მსოფლიო.

დაგელოცოს ოჯახი, ჩემო თამაზ, ცოლ-შვილი და პატარა შვილიშვილი ნიკოლოზი, რომელიც პაპის სტრუქტურით და ძველგზური ბუდეშურის სურნელებით იზრდება. დემეტრე ნათელაშვილი ამჟამად მამაშენის ლამაზი სული, ვაზი და ვენახი ასე რომ შეგაყვარა.

„მამამ რო ვაზი გამისხლა და გამომქონდა წალამი, ფიქრის გაღებვა მომწადდა, ხელში ავიღე კალამი.“ ცოცხლად ღერწივს გან დავწინა შოთახის ოქროს ალამი, რითაც რომ მინდა გაახსლო რვაასი სტროფი სალამი.“

ჩემო თამაზ, შენ პოეზიის და ლექსების ქვეყანაში, ვაზის სამშობლოში, სადაც ლექსების მიხედვით ფასკუჯმა (მითოლოგიურმა ზღაპრულმა ფრინველმა) კაცობრიობას პირველობა მიუტანა ყურძნის წიპა და საფუძველი ჩაუყარა მვეწახეობის განვითარებას საქართველოში, ამ მეტად რთულ და მეტად შრომატევად საქმეში. შენი ახლებური ხედვები გაგაჩნია. შენ დიდ საქმეს ემსახურები.

დემეტრე დაგელოცოს და გაგაძლიეროს. მადლობა ყველაფრისათვის, მადლობა ვაზის გადარჩენისათვის.

## საჭირო წიგნი

**წიგნი** „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“, არა უბრალოდ საკითხავი წიგნია, არამედ ახალგაზრდობის აღსაზრდელ მანიფესტადაც კი გამოგადგება. ვაზის და რუსთაველის საუბარი არის საქართველოს წარსულზე, მის დღევანდელ რთულ მდგომარეობასა და ნათელი მომავლის გზების ძიებაზე.

მე, როგორც ამ წიგნის ერთ-ერთი მკითხველი, ვფიქრობ, რომ „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“ დაგაყენო არჩილის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისას“ გვერდით, რადგან მისი უდიდებულესობა, საქართველოს უცვლელი მფხვე ქართველი კაცის დიდება – ვაზი და რუსთაველი საუბრობენ.

მადლობას ვუხდის მის ავტორს თამაზ ქვლივიძეს.

*პატივისცემით,  
აპოანდოლე ტაბატაძე*

**თამაზ** ქვლივიძის წიგნი „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“ წარმოადგენს ნამდვილ ისტორიულ საოცრებას, სადაც მოთხრობილია, როგორც შოთა რუსთაველის შიორები და გაშაირება პოეტ თამაზ ქვლივიძესთან, რომელიც წარმოადგენს დღევანდელი ცხოვრებისათვის საჭირო ამსახველ ფაქტებს.

*ბიძო ონაშვილი*

**მისაც** არა აქვს წაკითხული თამაზ ქვლივიძის წიგნი „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“, მისთვის დაუჯერებელი იქნება, რომ ავტორი ვაზს ალაპარაკებს რუსთაველთან. აღნიშნულის დასარწმუნებლად ვთხოვ მკითხველს, გაეცნოს ზემოთ დასახელებულ წიგნს და დარწმუნდება, რომ თამაზ ქვლივიძე არის არა მარტო სახელგანთქმული გამოგონებელი, არამედ დიდი პოეტიც.

*თამაზ ქვლივიძე*

## პატარა ჩაიღურის სკოლის დირექტორი

**საბარეჯო**ს გამორჩეულმა ადამიანმა – მწერალმა, პოეტმა და გამოგონებელმა თამაზ ქვლივიძემ გამოსცა წიგნი „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“. საქართველო ოდითგანვე ვაზის ქვეყანაა და ავტორი უძველესი ვაზის მოწოდებელ გაისმის მისი სიტყვები – „ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია“.

აქვე, ამ წიგნში მან 800 სტრიქონით მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენა და გამოხატა გულში ნადები ვაზზეც და თავად 850 წლის რუსთაველის საუბარზეც.

ავტორი არის უნიკალური ადამიანი არა მარტო საგარეჯოსათვის, საქართველოსათვის და პირადად ჩემთვის სამაგალითო ადამიანი, როგორც გამოგონებლის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრების, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივების, ერთ-ერთი იმათგანია, იმ გამოჩენილ ადამიანებთან ერთად, რომლებიც დღევანდელ მოგვიწოდებენ და მაგალითს გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა იცხოვროს ქართველმა კაცმა და ემსახუროს თავისი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს.

ქართველებს ბევრი რამ გვახასიათებს – კარგიც და ცუდიც.

მოდით ასეთ ადამიანებს მივბაძოთ ცხოვრების წესით, ვინც მოგვიწოდებს და გვასწავლის, რომ ვიყოთ ღირსეული ქართველები და უბრალოდ, ქვეყნის კარგი მოქალაქეები.

მე მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო ბ-ნ თამაზ ქვლივიძის მიმართ. ვუსურვო მას დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

*მზხარ ბორბილაძე,  
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. სათაფლის ადმინისტრაციულ ერთეულში*

**ფიქრობ**, შემიძლია ვთქვა, რომ თამაზ ქვლივიძის ცხოვრება და შემოქმედება საკმარისად შესწავლილი და შეცნობილი მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ თამაზი ჩემი ახლობელია, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ვერ წარმოვიდგენდი, მას რომ ამდენი შეეძლო.


რაც ამ ბოლო დროს გავეცანი მის მიერ შექმნილ და გამოქვეყნებულ ნაშრომებს და გამოგონებებს მეამაყება, რომ ამდენი შესძლებია. თითქმის დღეს დარგი არ არის, რომ ყოველივეს მაღალი პროფესიული დონით არ სახდრავდეს, რაც ჩვეულებრივი ადამიანისთვის მიუწვდომელია. მხოლოდ და მხოლოდ მომადლებული შესაძლებლობები ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების საჩუქარია. რაც მთავარია, შრომისაღმი და სამშობლოსაღმი.

„ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარს“ ვინც გაეცნო, წარმოუდგენელია აღტაცებული არ დარჩეს თამაზის პო-

ეტური ნიჭის ვულკანური ამოფრქვევის ძალისა, რამაც მას ბრწყინვალე შედეგები შეაქმნევინა და ადგილი დაუთმო ტალანტთა შორის, როგორც ერისა და ქვეყნის წრფელ მცხოვრებს.

ვფიქრობ, ბატონ თამაზის პიროვნება მეტ ყურადღებას იმსახურებს.

*ანზორ ზურაბაშვილი,  
საქართველოს ფალაგანი*



## საბარეჯოელი გამომგონებელი, პოეტი, მწერლის პატრიოტი

**ბაზამ** „გარეჯის მაცნეს“ ძვირფასო მკითხველო! სიამაყით მინდა გითხრა, რომ საგარეჯოს სახელოვან კომპოზიტორს შეემატა კარგად ცნობილი გამოგონებელი, ვაზის – ქართველი კაცის ამ სიამაყის ახლებურად მოვლის დამწერავი თამაზ ქვლივიძე.

ყველას გვახსოვს მამამისის სიყვარულით გაჯერებული ფაქიზი დამოკიდებულება ვენახის მოვლის პროცესთან, რამაც დიდი გავლენა იქონია თამაზზე. როგორც დღესაც ესმის მამის ძახილი: – წამოდი, შვილო, ვაზი გვეხახის, ვაზის დალატი არ შეიძლება, ვაზის დალატი ქვეყნის დალატი.

კარგად ვიცით, რომ თამაზი 58 გამოგონების ავტორია, აქედან 38 დაპატენტებულია. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული აქვს მონოგრაფიები „მევენახეობა ახლებურად“, „ხვალის ვენახი“ და „ვაზი, ჩვენი სიამაყე“. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი მნიშვნელოვანი სტატია.

თამაზ ქვლივიძე 2020 წლისთვის დაბადების 65 წლისთავთან და საგამომგონებლო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით საზოგადოებას პირდაპირ მიმუხარების გამოცემას – „გამომგონებლის მოგონებები“, რათა ახალგაზრდობას გაუღვივოს სიახლეების შექმნის სურვილი, გაითვალისწინონ გერმანელი ფილოსოფოსის არტურ შოპენჰაუერის სიტყვები: „ნებისმიერი ახალი იდეა სამ საფეხურს გადის – პირველზე – მას დასცინიან, მეორეზე – ებრძვიან, მესამეზე კი – თავისთავადი ხდება“.

თამაზ ქვლივიძე აქამდე საკუთარი ყურძნით აწარმოებს სახელობით ღვინოებს, ასევე ბიოღვინოებს. მან ვაზს მიუძღვნა 50 ლექსი.

ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში ჩაიფიქრა გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის 800 წლისთავის მიძღვრვა წიგნი. ეს დანაპირები შეასრულა შუა ხნის ასაკში. მან 2019 წელს გამოსცა წიგნი სათაურით „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“.

ერთს გეტყვით, რომ თამაზ ქვლივიძე მშრომელი და ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი ქართველი კაცი, გამოგონებელი, პოეტი, სიტყვაკაზმულობის დიდოსტატი, ქვეყნის პატრიოტი, კაცი – მეოჯახე, კარგი მეუღლე, კარგი მამა, კარგი ძმა, კარგი პაპა, კარგი მეგობარია.

მოვიყვან მისი დაწერილი წიგნიდან რამდენიმე ადგილს:

„ბევრიც შეექმნენ გამოგონება, ვერ გამოგონა ხე მოლაპარაკე, აზრს ჩასწვდომოდა მისი გონება, მაგრამ ვაზი ხომ ვალაპარაკე. დემეტრე ქნას, რომ ტურფად ვხატო ვენახი და ფანტაზია, წინ წავწიე წიგნი ჩემი წადილი და პოეზია. გულს ვაღხინო მე სამშობლო, რაც ხალხისთვის ღამისია, სადაც ბევრი თამაზია, უფრო მეტი კი ვაზია.“

*სონო ლასურაშვილი*

რედაქტორი:  
**თინათინ ილაური**

გარემოს  
მაცნე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“  
ვახუთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტიფიკაციო კოდი 438107460. ტირაჟი – 300  
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,  
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,  
ვახუთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“  
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.  
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143  
ელ. ფოსტა: garejismacne1@gmail.com